კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№21 (1662) 14 — 20 ივნისი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვინ არის ექიმი ქალი, რომელმაც მოსამართლე სასიკვდილოდ გაიმეტა

აჭარაში მომხდარი უცნაური დანაშაულის დეტალები

რა სარგებლობა მოაქვს ე.წ. ინტელიგენციას ქვეყნისთვის

როგორ შექმნეს კომუნისტებმა ადამიანების კასტა, რომელიც მუდამ პრივილეგიებით სარგებლობს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რა ქონებას ფლობს ელენე ხოშტარია

ძვირადღირებული სახლები და აგარაკები – ვინ აჩუქა უძრავი ქონება დროა-ს ლიდერის მეუღლეს

შეუერთდება თუ არა ნიკა მელია საარჩევნოდ ლელოს

„ეს ხალხი გაერთიანებაზე საუბრობს იმიტომ, რომ მანდატები ისევ აიღოს“

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ს.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 12 ივნისს, ბრალდებულმა თბილისში, ლილოს დასახლებაში, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მეზობელს – 1947 წელს დაბადებულ ა.ყ.-ს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო შშმ პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების მიზნით, სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებმა შშმ პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინა ხატისკაცმა გახსნეს.

შეხვედრა მიზნად ისახავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციასა და მის განხილვას.

სამოქმედო გეგმის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გეგმით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები და მათი შესრულების ინდიკატორები. შეხვედრის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით რეკომენდაციები და მოსაზრებები წარმოდგინეს.

სამუშაო შეხვედრა ჩატარდა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, შვედეთის მხარდაჭერით და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელთან (NCCE) თანამშრომლობით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდობის ბრალდებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის საგურამოს პოლიციის თანამშრომლებმა, ქურდობის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი სამი პირი – 1990 წელს დაბადებული გ.შ., 1994 წელს დაბადებული ბ.ტ და 1996 წელს დაბადებული ს.ტ. დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მცხეთის რაიონის სოფელ კევლიანში მდებარე ა.ტ.-ს კუთვნილ აგარაკზე ფარულად შეაღწიეს, საიდანაც საოჯახო ტექნიკა და სხვადასხვა ნივთები მოიპარეს. სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე დააკავეს.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ასევე დადგინდა, რომ სხვადასხვა დროს, დაკავებულებმა მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე რამდენიმე აგარაკი გაქურდეს.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია აგარაკებიდან მოპარული ნივთები და საოჯახო ტექნიკა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ბინაში უკანონოდ შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროში, მიმდინარე წლის 6 ივნისს, თბილისის, აჭარის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ შესაძლო სექსუალური ძალადობისა და მუქარის ფაქტებზე გამოძიება განხორციელებული მომართვების საფუძველზე დაუყოვნებლივ დაიწყო.

თბილისისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტებში გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით, გამოძიების ფარგლებში უკვე გამოიკითხა მომართვის ინიციატორი და საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა არაერთი პირი, ასევე გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს არსებული საქმის მასალების შესწავლა.

რაც შეეხება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში მუქარის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარე გამოძიებას, დგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ შესაძლო სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების გამო, 1985 წელს დაბადებული ე.მ. სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ლ.მ.-ს. ჩატარებული გამოძიების ფარგლებში, მყისიერად ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, გამოიკითხნენ საქმესთან შემხებლობაში მყოფი რელევანტური პირები. გამოძიების პირველად ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, მუქარის ბრალდებით დაკავებულ იქნა ე.მ.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება გარემოებების ყოველმხრივი შესწავლის მიმართულებით.

პოლიციამ ხაშურის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული, ა.ნ. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ნ.– ს ნაცნობმა, 1970 წელს დაბადებულმა ი.კ.-მ, მიმდინარე წლის 24 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1970 წელს დაბადებულ ჯ.ნ.-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ა.ნ.-ც, თუმცა მან მომხდარი დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა 1970 წელს დაბადებულმა ი.კ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ბრალდებით ცხელ კვალზე, ხოლო ა.ნ. დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მოგვიანებით დააკავეს.

განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების, ასევე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 236-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

რა სარგებლობა მოაქვს ე.წ. ინტელიგენციას ქვეყნისთვის

როგორ შექმნეს კომუნისტებმა ადამიანების კასტა, რომელიც მუდამ პრივილეგიებით სარგებლობს

ნათია დოლიძე

„მთავარის“ ჟურნალისტის, ბექა ყორშიას მიერ, მეცნიერებათა აკადემიის ახალ ხელმძღვანელ როინ მეტრეველზე მომზადებულმა სატირულმა სიუჟეტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჟურნალისტი სახალხო დამცველმაც დაგმო. იმის განხილვაში არ შევალ, თუ რას ეძღვნებოდა სიუჟეტი, ან ჟურნალისტი სწორად მოიქცა თუ არა, თუმცა ყველაფერმა ამან ერთი ძველი წერილი გამახსენა, რომელიც „ვერსიაში“ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა და რომელიც ე.წ. ინტელიგენციის რაობას ეხებოდა. ვინაიდან ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია, არქივიდან სწორედ ამ წერილს გთავაზობთ, კიდევ ერთხელ გავიხენოთ, თუ როგორ შექმნეს კომუნისტებმა ინტელიგენციის კასტა და რატომ სარგებლობენ ყველა დროში ამ კასტის წარმომადგენლები პრივილეგიებით.

ინტელიგენცია, როგორც სამოქალაქო განათლების ლექსიკონშია აღნიშნული, ადამიანთა ისეთი საზოგადოებრივი ფენაა, რომლის პროფესიულ საქმიანობასაც გონებრივი, უმთავრესად, რთული და შემოქმედებითი შრომა შეადგენს. ამავე წყაროს მონაცემებით, ეს ტერმინი რუსულ ენაში არცთუ ცნობილმა მწერალმა ბობორიკინმა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაამკვიდრა და მალე სხვა ენებშიც გავრცელდა. თავდაპირველად, ინტელიგენცია, როგორც ფენა, მაშინ გაჩნდა, როცა გონებრივი შრომა ფიზიკურს გამოეყო. საერთოდ, რამდენიმე, ასე ვთქვათ, ტიპის ინტელიგენცია არსებობს – ტექნიკური, ჰუმანიტარული, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, პოლიტიკური და ასე შემდეგ... საბჭოთა კავშირმა კი ინტელიგენციის კიდევ ერთი „სახეობა“ „შვა“, რომელსაც დღემდე „წითელ ინტელიგენციას“ ეძახიან. ქართულ ვიკიპედიაში ტერმინი „წითელი ინტელიგენცია“ ასეა განმარტებული: **„მეოცე საუკუნის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ინტელიგენცია, რომელიც თავის შემოქმედებაში სოციალისტურ და კომუნისტურ იდეებს ხოტბას უმეტესად საკუთარი კეთილდღეობის მიზნით ასხამდა, თუმცა ამ ხოტბის საბაბი ზოგჯერ შიშიც იყო“.**

მართლია, ლამის სამი ათეული წელია, რაც საბჭოთ კავშირი დაინგრა და კომუნისტურმა იდეოლოგიამაც პოლიტიკურ სარკოფაგში „საპატიო“ ადგილი დაიმკვიდრა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვე საქართველოში „წითელი ინტელიგენციის“ თემა ისევ აქტუალურია და საზოგადოების ნაწილი დაუფარავად მიანიშნებს, რომ ეს ადამიანები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის ცუდ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ.

ეს მძაფრი შეფასებაა, მაგრამ თუ ჩვენი ბედკრული სამშობლოს უახლეს ისტორიას თვალს გადავავლებთ, ადვილად მივხვდებით, რომ ინტელიგენციის ნაწილი თავის მდგომარეობას პირადი კეთილდღეობისთვის იყენებდა და, როგორც ჩანს, ახლაც ასეა...

„წითელი და ვარდისფერი ინტელიგენცია“ – ასე ჰქვია წერილს, რომელიც „რადიო თავისუფლების“ ვებ-გვერდზე 2011 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა. ავტორი, გიორგი მაისურაძე სტატიას მერაბ მამარდაშვილის ინტერვიუს ფრაგმენტით იწყებს (ინტერვიუ 1989 წელსაა ჩაწერილი): **„ეშმაკი გვათამაშებს, როდესაც არაზუსტად ვაზროვნებთ. აზროვნების სიზუსტე არის იმ ადამიანის ზნეობრივი ვალდებულება, ვინც აზროვნებასთანაა ნაზიარები. და ახლა ამ კუთხიდან შევხედოთ მე-20 საუკუნეს, როდესაც მასობრივი იდეოლოგიური წარმოება აყვანილ იქნა სახელმწიფო მშენებლობის დონეზე და დაემთხვა კიდევაც მას... ჩვენ ვხედავთ ინტელიგენციის ღალატის ფანტასტიურ სურათს“.**

მამარდაშვილი იქვე დასძენს, რომ ინტელიგენციამ საკუთარ პროფესიულ ვალდებულებებს უღალატა. „ღალატი“ კი სწორედ იდეოკრატიული სახელმწიფოების სამსახურში ჩადგომა იყო, რამაც ინტელიგენცია მე-20 საუკუნის ტოტალიტარული სახელმწიფოების ფაქტობრივ თანაავტორად აქცია. ეს თანაბრად ეხება, როგორც საბჭოთა, ასევე, იმ ევროპელ ინტელექტუალებსაც, რომლებიც არანაკლები ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ დასავლეთის იდეოკრატიული რეჟიმების მშენებლობაში.

... ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ინტელიგენციის ერთი ნაწილი ბოლშევიკების აქტიური მხარდამჭერი გახდა, ნაწილმა კი ან ემიგრაციით უშველა თავს, ან ახალი წყობილების კრიტიკა სცადა, რის გამოც ლენინის ცნობილი სიტყვები – „Интеллигенция не мозг народа, а говно народа“ („ინტელიგენცია ხალხის ტვინი კი არა, ხალხის ნეხვია“) – დაიმსახურა. ამასთანავე, საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა საკუთარი „წითელი“ ინტელიგენციის შექმნას, რომელიც ხელისუფლების ერთგული და მისი იდეოლოგიის გამტარებელი იქნებოდა. ეს პროექტი, საბოლოოდ, სტალინის მმართველობის დროს განხორციელდა, როდესაც ინტელიგენციის სახელმწიფოს იდეოლოგიურ აპარატში ინტეგრაცია მოხერხდა, რის შედეგადაც ახალი საზოგადოებრივი კლასი – საბჭოთა ინტელიგენცია გაჩნდა. რამდენადაც მეცნიერება და ხელოვნება საბჭოთა სახელმწიფოსთვის სტრატეგიული სფერო იყო მტრულ, კაპიტალისტურ სამყაროსთან კონკურენციისა თუ საკუთარი მოსახლეობის ინდოქტრინაციისათვის, შესაბამისად, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა საზოგადოებრივ იერარქიაში პრივილეგირებული ფენის სტატუსი მოიპოვეს, თუმცა ინტელიგენციის პრივილეგირებულობა უფრო ცარიელი სტატუსი იყო, ვიდრე რეალობა: ბინები, აგარაკები, პრემიები და ა.შ. მხოლოდ ყველაზე გამორჩეული და ხელისუფლებასთან განსაკუთრებით დაახლოებული ადამიანების პრივილეგია იყო, საშუალო საბჭოთა ინტელიგენტი კი ეკონომიკურად უთანაბრდებოდა მუშათა კლასს, ხოლო რიგითი საბჭოთა საქმოსანი ან კორუმპირებული ფუნქციონერი თავისი შემოსავლით ბევრად აღემატებოდა საბჭოთა მეცნიერის ან ხელოვანის ეკონომიკურ მდგომარეობას. პრესტიჟულობის განმსაზღვრელი კი არაფიზიკური შრომა და კულტივირებულობის სტატუსი იყო, რომელსაც ხშირად, მძიმე გაჭირვების პირობებშიც ფსიქოლოგიური კომპენსაციის ფუნქცია ჰქონდა.

გვიან საბჭოთა ხანაში ინტელიგენციის ერთგვარი „ინფლაციაც“ კი დაიწყო: ასეთი სტატუსის მქონე ადამიანთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათთვის ეკონომიკურად სუსტ და ტოტალურად კორუმპირებულ საბჭოთა სახელმწიფოს იმის რესურსები აღარ ჰქონდა, რომ მომრავლებული ინტელიგენტები ბინებითა თუ სანატორიუმების საგზურებით უზრუნველეყო. შესაბამისად, ყოფითი კეთილდღეობისათვის ინელიგენტებიც იძულებული იყვნენ, ისევე ჩაბმულიყვნენ კონიუნქტურისა და კორუფციის ფერხულში, როგორც საბჭოთა საზოგადოების ყველა სხვა ფენის წარმომადგენელი.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ინტელიგენცია ორი, სრულიად განსხვავებული მენტალობისა და სტატუსის ჯგუფად იყოფოდა: ერთი მხრივ, კორუმპირებული და პრივილეგიებისთვის მებრძოლი ნომენკლატურა, რომლის „ელიტარულობის“ განმსაზღვრელიც არა იმდენად შემოქმედებითი მიღწევები, რამდენადაც მათი ძალაუფლების სტრუქტურებში ყოფნა და იდეოლოგიურ კონიუნქტურასთან მორგება იყო და, მეორე მხრივ, იმ მეცნიერების, მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების თუნდაც მცირერიცხოვანი ნაწილი, რომლებიც ზოგჯერ უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ყოფნის ფასად, საკუთარი საქმით იყვნენ დაკავებულნი და პოლიტიკურ კონიუნქტურას ემიჯნებოდნენ. სწორედ ინტელიგენციის ეს კატეგორია – არა „კაცური კაცები“, მხოლოდ თავაზიანობითა და „სინაზით“ რომ გამოირჩეოდნენ კაპურის მჭამელი და დედის მაგინებელი „ნამდვილი ქართველებისგან“ – იყო საბჭოთა ხანაში კორუმპირებული საზოგადოების დაცინვისა და აბუჩად აგდების ობიექტი.

„ინტელიგენციამ“ ახალი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ნგრევის დასკვნით სტადიაში – 80-იან წლებში შეიძინა, როდესაც „პერესტროიკით“ გააქტიურებულ საბჭოთა საქართველოში გავლენის სფეროებისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ სცადა ყურადღების ცენტრში მოქცევა და ახალი კონიუნქტურის შესაბამისად, სრულიად ბნელი ნაციონალიზმის ქადაგებას შეუდგა, რამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საქართველოში ეთნოკონფლიქტებისა და საყოველთაო სიძულვილის განწყობის მომზადებას. ინტელექტუალთა მხოლოდ მცირერიცხოვანმა ნაწილმა გაბედა დაპირისპირებოდა იმ საფრთხეს, რომელიც

დასასრული მე-4 გვერდზე

რა სარგებლობა მოაქვს ე.წ. ინტელიგენციას ქვეყნისთვის



მე-3 გვერდიდან

უკვე თავად „ეროვნული მოძრაობიდან“ და მზარდი ნაციონალიზმისგან მომდინარეობდა. ეს კი საფუძველი გახდა ინტელიგენციის ახალი მითოსის შესაქმნელად, რომელიც საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას უკავშირდება.

გამსახურდია „კრიმინალური“, „წითელი ინტელიგენციის“ ხატის შექმნას შეუდგა, რომელიც კლასობრივ ბრძოლას უცხადებდა პირველ პრეზიდენტს საკუთარი პრივილეგიების შესანარჩუნებლად, თუმცა ამის პარალელურად, 1991 წელს, გამსახურდიასვე ინიციატივით, დაფუძნდა „ინტელიგენციის დარბაზი“, რომელშიც მისი მომხრე ისეთივე საბჭოთა ნომენკლატურული ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი, როგორებიც მის ოპოზიციაში, მაგრამ ხელისუფლებისადმი ლოიალურობის გამო, მათი საბჭოთა წარსული აღარავის ახსოვდა.

„წითელი ინტელიგენციის“ მითი ყველაზე მეტად მაინც ედუარდ შევარდნაძემ გააფორმა, როდესაც 1992 წლის 7 მარტს, მოსკოვიდან დაბრუნებულმა, თბილისის აეროპორტში მადლობა გადაუხადა ინტელიგენციას, რომელიც „იარაღით ხელში“ აუჯანყდა გამსახურდიას. ამით მან, ერთი მხრივ, შეიარაღებული გადატრიალება აჯანყებად გადახატა, თანაც ამ ქათინაურით, საკუთარი იდეოლოგიური საყრდენი შექმნა, ხოლო მეორე მხრივ, ინტელიგენციისა და ხელისუფლების ალიანსიც ახალი „ხელშეკრულებით“ განამტკიცა.

90-იან წლებში, შევარდნაძის მიერ „ქართველი საზოგადოების ნაღებად“ შერაცხული ინტელიგენცია, სწორედ მეორე პრეზიდენტის ძალაუფლების ფასადი იყო, რომლის უკანაც რეალური ძალაუფლების ბერკეტები – კორუმპირებული ბიუროკრატია და ბიზნესმენებად შერაცხული მაფიოზური კლანები იმალებოდნენ.

ინტელიგენციისა და ხელისუფლების ეს ალიანსი არც სააკაშვილის „ლიბერტარიანული“ მმართველობის ქვეშ შეცვლილა: როგორც გამსახურდიას დროს, ინტელიგენციის ერთი ნაწილი სახელისუფლებო არეალს გარეთ აღმოჩნდა და არ ითაკილა, სააკაშვილის ჯინაზე, სრულიად პრიმიტიული შოვინიზმის ქადაგება დაეწყო. სააკაშვილმა კი საკუთარი, ახალი „ინტელიგენცია შექმნა, რომელსაც პირობითად, „ვარდისფერ ინტელიგენციას“ დავარქმევდი.

„ვარდისფერი ინტელიგენცია“ სააკაშვილის „ლიბერტარიანული“ იდეოლოგიისა და ნაციონალისტური კიჩის უშუალო ავტორია. იდეოლოგიურ სფეროში მისი ძირითადი ფუნქცია პრეზიდენტის ნათქვამისა თუ ნამოქმედარისთვის ხოტბის შესხმა და მისი შიდა თუ გარე კრიტიკისგან დაცვაა. მაგალითად, თუ პრეზიდენტი იტყვის – „ზანგები ხომ არა ვართ?“ – „ვარდისფერი ინტელიგენტი“ განგვიმარტავს, რომ ამაში რასისტული სტერეოტიპი კი არა, „ვეფხისტყაოსანზე“ ალუზია უნდა დავინახოთ („აქა, მათ ზანგთა მონათა, მზე მოიყვანეს ნავითა“). ამასთანავე, ისაა სახელმწიფოსა თუ „ლიბერტარიანელ ბიზნესმენთაგან“ დაფინანსებული იმ მდარე ხარისხის იდეოლოგიური ესთეტიკის შემსრულებელ-ხორცშემსხმელი, რომელსაც ერთ დროს, წითელი ინტელიგენციის შექმნილი სოცრეალიზმის მსგავსად, ნაცრეალიზმი შეიძლება ეწოდოს.

მოკლედ, წითელი ფერის გავარდისფრებით პრინციპი არ იცვლება: ინტელიგენციის მთავარი პრობლემა კი კვლავაც ხელისუფლებისგან ვერგანთავისუფლებაა, რომელიც მას მომავალშიც კონიუნქტურის შესაბამის ფერებად გადაღებავს“...

„მეტი მუშაობაა საჭირო ინტელიგენციასთან... საქართველოში არ არსებობს პარტიული მუშაობა, ინტელიგენციასთან მუშაობის გარეშე“, – ამ სიტყვებს საქართველოს მეორე პრეზიდენტი, საქართველოს ცეკა-ს ყოფილი პირველი მდივანი, სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, აწ გარდაცვლილი ედუარდ შევარდნაძე 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ, კერძოდ, 12 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე იტყვის.

მერე, წლები რომ გავა, ინტერნეტგამოცემა exspert.ge ედუარდ ამბროსის ძის ზემოხსენებულ სიტყვებს გაიხსენებს და დაწერს:

„შევარდნაძე გულწრფელი იყო – ჯერ კიდევ 1972 წლიდან, როგორც კი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, შევარდნაძემ დაიწყო „ინტელიგენციასთან მუშაობა“, რაც შემდგომ საქართველოში „პარტიული ხელმძღვანელობის“ დამახასიათებელი სტილი გახდა. ქართველ „ინტელიგენციას“ (ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, მხატვრებს, კინორეჟისორებს, კომპოზიტორებს), რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი საქმის მართლაც შესანიშნავი მცოდნე იყო, ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა თათბირებზე და შეკრებებზე „ცენტრალურ კომიტეტში“. ეს უკანასკნელი იმ დროს ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა. ამდენად, „ცნობილ პოეტს“ ან არანაკლებ „ცნობილ მსახიობს“ გულს ეფონებოდა, როდესაც ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი დაურეკავდა და თათბირზე დაპატიჟებდა; შემდეგ მანქანას გაუგზავნიდნენ მოსაყვანად და ა.შ.

სხვათა შორის, ამ პერიოდშიც არანაკლები სიხშირით იმართებოდა ბანკეტები და წვეულებები (ოღონდ, რასაკვირველია „საბჭოთა დღესასწაულებთან“ დაკავშირებით). ამ წვეულებებზე ყოველთვის პატიჟებდნენ „ცნობილ ინტელიგენციას“ (რაიკომის მდივნებთან ერთად) – შევარდნაძემ ქართველი კაცის ფსიქოლოგია კარგად შეისწავლა, მან ზუსტად გათვალა, რომ „სუფრის სულისკვეთება“ ადამიანთა და სოციალურ ჯგუფთა ურთიერთობაში ძალიან დიდ როლს ასრულებს.

ამავე დროს, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რათა შეძლებისდაგვარად შეეწყო ხელი იმ ინტელიგენტებისათვის, რომლებიც „პარტიულ დირექტივებს“ სწორად და ზუსტად ასრულებდნენ და „ცენტრალურ კომიტეტს“ პრობლემებს არ უქმნიდნენ. „დამჯერე“ მწერლებს საშუალება ჰქონდათ, გამოეცათ თავიანთი ნაწარმოებები, ხოლო კინორეჟისორებს – გადაეღოთ ფილმები და ა.შ.

თანდათანობით, ამგვარი პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სოციალური ფენა, რომელიც პარტიულ (სახელისუფლო) ელიტასთან იყო შეზრდილი და, ფაქტობრივად, იმდროინდელი საზოგადოების ზედაფენას წარმოადგენდა. ამავე დროს, ეს ინტელიგენცია (სახელწოდება, რასაკვირველია, პირობითია, მაგრამ რაკი სწორედ ეს სახელწოდება დამკვიდრდა, ჩვენც იძულებულები ვართ, გამოვიყენოთ) ე.წ. საბჭოთა ნომენკლატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და ისევე, როგორც ჩვეულებრივი პარტიული, კომკავშირული ან სამეურნეო-სამრეწველო ნომენკლატურა, მონაწილეობდა იერარქიულ კიბეზე „ვერტიკალურ“ თუ „ჰორიზონტალურ“ გადაადგილებებში.

კომუნისტების მიერ გამოძერწილ „წითელ ინტელიგენციას“ ერთი უცნაურობა ახასიათებდა: მიუხედავად შემოქმედებითი „დისიდენტობისა“, იგი ხელისუფლებისადმი ლოიალობას ყოველთვის ინარჩუნებდა. მაგალითად: რომელიმე მწერალს შეეძლო დაეწერა „დისიდენტური“ რომანი (რა თქმა უნდა, გადაჭარბების საშუალებას არ მისცემდნენ), რომელშიც მკაცრად გააკრიტიკებდა (ქარაგმულად) საბჭოთა წყობას, კომუნისტურ იდეოლოგიას, მაგრამ იმავდროულად, ცენტრალურ კომიტეტში, თავის „მეგობარ-ამხანაგებთან“ შესანიშნავ ურთიერთობას შეინარჩუნებდა ისევე, როგორც თვით ცეკა-ს პირველ მდივანთან.

რასაკვირველია, იმავე ცეკა-ს ინსტრუქტორები (იდეოლოგიის დარგში) შესანიშნავად ამჩნევდნენ იმ ქარაგმებს, რომლებიც რომანში (ფილმში თუ სპექტაკლში) იყო ჩადებული, მაგრამ არაფერს აკეთებდნენ მათ ასაკრძალად – ესეც შევარდნაძის ძალზე ეშმაკური და შორსმჭვრეტელური პოლიტიკა იყო. როდესაც ეს რომანი (ფილმი, სპექტაკლი) რუსეთში ხდებოდა ცნობილი, იქაური „ინსტრუქტორები“ განცვიფრებას ვერ მალავდნენ და სულ ცოფებს ყრიდნენ, მაგრამ საქართველოში (შევარდნაძის „ლოცვა-კურთხევით“) კვლავ იდგმებოდა „დისიდენტური“ სპექტაკლები, იღებდნენ „დისიდენტურ“ ფილმებს, კომედიებს და ა.შ.

ამ უცნაურობის ახსნა ადვილად შეიძლება: შევარდნაძეს ინტელიგენციის იდეური მრწამსი არ აინტერესებდა, მისთვის მთავარი ის იყო, რომ ინტელიგენცია ხელისუფლებისადმი ლოიალური ყოფილიყო. ვიმეორებ, ყოფილიყო ლოიალური ხელისუფლების და არა იდეოლოგიისადმი.

... 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად, ხელისუფლება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

ყოფილი დისიდენტი, ზვიად გამსახურდია ჯერ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ პრეზიდენტი გახდა. მაგრამ რეალურად ძალაუფლება მას არასდროს არ ეპყრა ხელთ – 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, 1992 წლის 7 იანვრამდე. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ტრაგედია (როგორც თავად აღნიშნა) იმაში მდგომარეობდა, რომ მას დახვდა ძველი ხელისუფლების აპარატი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზვიად გამსახურდია მოვიდა იმ შენობის სათავეში, რომელიც მთლიანად ედუარდ შევარდნაძის აშენებული იყო. შევარდნაძის მიერ რუდუნებით და მოთმინებით „გამოძერწილმა“ ზედაფენამ (მიუხედავად იდეოლოგიური მსგავსებისა) ვერ იგუა სხვა („უცხო“) ლიდერი, რაც კრიმინალური ბანდების მიერ პრეზიდენტის დამხობის უმთავრესი მიზეზი გახდა. ელიტამ მას მხარი არ დაუჭირა, რადგან ეს მისი ელიტა არ იყო, ეს იყო შევარდნაძის ელიტა, შევარდნაძის ხელისუფლებაზე მორგებული ზედაფენა, რომელიც სხვა ლიდერს ვერ იგუებდა და ვერც იგუა“, – ნათქვამია წერილში, რომელიც 1996 წლით თარიღდება.

შეუერთდება თუ არა ნიკა მელია საარჩევნოდ ლელოს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ოპოზიციურმა პარტიებმა, როგორც ჩანს, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყეს. პარტია ლელო პროდასავლური ოპოზიციური პარტიებისთვის „კარს ხსნის“ და ერთიანობისკენ მოუწოდებს. მკაცრი გამონაკლისი მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა ანუ ამ პარტიისგან ლელო მკვეთრად დისტანცირდა და ხაზგასმით აცხადებს, რომ მათთან საარჩევნო ერთიანობას არ აპირებს. რატომ აირჩია ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან პოლიტიკური დისტანცირება, რამდენად აქვს ლელოს ე.წ. მესამე ძალის ცენტრად წარმოჩენის პერსპექტივა და ხომ არ გეგმავს ნიკა მელია საკუთარი ამომრჩევლით, ხაზარაძე-ჯაფარიძის პარტიასთან ერთად, არჩევნებში ასპარეზობას? – ამ საკითხებზე „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

„ეს ხალხი გაერთიანებაზე საუბრობს იმიტომ, რომ მანდატები ისევ აიღოს“

– დავიწყოთ იმით, რომ როდესაც ვიღაცას გაერთიანებას სთავაზობ ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე, ეს არ არის შეთავაზება, ფაქტობრივად, ეს პიარია, რადგან თუ მართლაც გულით გწადია, რომ ეს გააკეთო და მიიღო შედეგი, უნდა გქონდეს წინასწარი კონსულტაციები.

„მე შემომიერთდით“ – საქართველოში ცოტა ცუდად ჟღერს. ამიტომ მიმაჩნია, რომ არ არის ეს გულწრფელი შეთავაზება ლელოს მხრიდან. მას უნდა დაეწყო კონსულტაციები და ეთქვა, მოდით, დავსხდეთ და ერთად მოვიფიქროთ, ეს როგორ გავაკეთოთ. ვეთანხმები, რომ პოლიტიკური ბლოკები არ იქნება დაშვებული, მაგრამ იქნებ სჯობს, ყველამ თავის სახელზე უარი თქვას და თუნდაც ერთჯერადად, რაღაც ახალი გაერთიანება გაკეთდეს ანუ ამას ფრთხილი დამოკიდებულება უნდა. როცა ამ ნაბიჯის გადადგმა გინდა, ყველას ინტერესი უნდა გაითვალისწინო და გაერთიანება ისე უნდა მოხდეს, რომ თავმოყვარეობა არ შეულახო იმ პარტიას, რომელიც შენთან ერთიანდება. თუ ამას არ აკეთებ, ეს პიარის თემაა, ან ეუბნები, მე უფრო მაღალი რეიტინგი მაქვსო... იმავეს აკეთებს ნაციონალური მოძრაობა. თუ გავწევთ გვერდზე, თუ ვინ და რანი არიან ნაციონალები, ხაბეიშვილის არც თუ სწორ შეფასებას, გასაღები ჩვენ გვაქვსო, ვნახავთ, იმავეს აკეთებს ნაციონალური მოძრაობაც – ჩვენ ვართ ნომერი მეორე პარტია, ამიტომ ჩვენ შემოგვიერთდითო. აბა, მაშინ, რა განსხვავებაა ლელოს ამ განცხადებასა და ნაციონალების იმ განცხადებას შორის?

ისიც უნდა ითქვას, არ არის ასე, რომ ლელო იყოს ფავორიტი პარტია ამ „შუაშისტურ“ პარტიებში, ჯერჯერობით, ასე არ არის. პერსონალური შემადგენლობით, შესაძლოა, ლელოს გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავდეს და ფინანსებიც ჰქონდეს, მაგრამ არ უშველა ამან არც წინა და არც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. გახარიას პარტიას უკეთესი შედეგი ჰქონდა ადგილობრივ არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ გახარიას მაშინ პოლიტიკური გუნდი არ ჰყავდა...

– მამუკა ხაზარაძემ ფიგურალურად განაცხადა, თუ ჩვენი პარტიის ფერი და სახელი არ მოგწონთ, შეგვიძლია, ამაზეც ვიფიქროთო, თუმცა ამის მიუხედავად, ამ გაერთიანების ცენტრად განიხილავს საკუთარ პარტიას. რა პერსპექტივა აქვს ლელოს?

– ვთქვი, რომ ლელოს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ ოპოზიციაში არ არის მათზე ნაკლები, თუნდაც პარლამენტის დღევანდელ შემადგენლობაში, პოლიტიკურად მათზე ნაკლებად გამოცდილი ხალხი და ისეთი ხალხიც, სიტყვა რომ უჭრით. ლელოს უპარატესობაა ფინანსები და რამდენადაც ამას ვხვდები, პრაქტიკულად, თიბისი ბანკის ვერტიკალზე აგებული პარტიული სტრუქტურაა, რომელიც ცუდად იმუშავებს, რადგან ბანკის მუშაობა სხვაა და პოლიტიკური ორგანიზაციის – სხვა.

– რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობისგან მკვეთრ დისტანცირებას, სწორი სტრატეგიაა? ისე, როცა ნიკა მელია იყო ენმ-ის თავმჯდომარე, ლელოსა და ნაციონალურ მოძრაობას ურთიერთობა არ უჭირდათ. როგორ ფიქრობთ, რატომ აირჩიეს ახლა, ეს სტრატეგია?

– ამას ამართლებენ იმით, რომ ნაციონალური მოძრაობის ფლანგზე გამოჩნდა კეზერაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის ტრიო, რომელიც პირდაპირ ასოცირდება კორუფციასა და რეპრესიებთან. ქართული ამომრჩევლისთვის ნაციონალური მოძრაობის მიუღებლობა არის ორი მიზეზით – ელიტური კორუფცია და მასობრივი რეპრესიები, განუკითხაობა. სხვა მხრივ, ენმ წყალწაღებული არ იყო. სწორედ ეს ორი ფაქტორი, რამაც განაპირობა მათი მარცხი, ასოცირდება ამ სამ პიროვნებასთან, სააკაშვილს თუ გამოვრიცხავთ. არა მარტო მათთან, მაგრამ ძირითადად, წამყვანი ეს სამი ფიგურაა. ამიტომ, გასაგებია, რომ დღეს, ლელო ამას აკეთებს, თუმცა შეცდომა იმთავითვე იყო დაშვებული. ჩვენი პარტიების უმრავლესობა არ საზღვრავს, ვინ შეიძლება იყოს მათი მხარდამჭერი, პოტენციური ელექტორატი. არადა, ასეთი მარტივი განლაგება ელექტორატისა, არც მახსენდება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. არის სამი ჯგუფი – „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები, ასევე, მესამე დიდი ჯგუფი, რომელსაც არც ერთი მოსწონს და არც – მეორე, ამიტომ წვრილ პარტიებს მათზე უნდა ემუშავათ.

– და მიიჩნევთ, რომ აქამდე არ მუშაობდნენ?

– გახსოვთ, ფრთიანი გამოთქმა – „შალიკოს ფანჩატური“?

– დიახ.

– როცა აძლევ საშუალებას შენს მოწინააღმდეგეს, რომ „ერთ ქვაბში მოგხარშოს“, ესე იგი, არ მუშაობ სწორად.

– თუმცა, ზოგი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ სწორედ, ოპოზიციის ერთიანობა დაამარცხებს სახელისუფლებო ძალას და „ძალა ერთობაშია“-ს პრინციპით უნდა იმოქმედოს ოპოზიციამ.

– არასწორად მიიჩნევენ. ასე მიიჩნევენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც უნდათ ნაციონალური მოძრაობის სიაში მოხვდნენ და გარანტირებულად მიიღონ მანდატი 2024 წლის არჩევნებში. საკუთარი პოლიტიკური ძალის იმედი არ აქვს, დამოუკიდებლად გასვლის იმედი არ აქვს და მიიჩნევს, რომ დიდი გაერთიანება უნდა შედგეს. თუ გადავხედავთ 2012 წლიდან დღემდე ყველა არჩევნებს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რაღაც პროცენტი გაყალბდა, სადაც კი მოხდა დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის, ყველგან გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა ზურაბიშვილმა პირველ ტურში ვერა, მაგრამ მეორე ტურში გაიმარჯვა, რადგან ერთი-ერთზე დარჩა გრიგოლ ვაშაძესთან. ჰოდა, როცა საკითხი ასე დგას, ყოველთვის იგებს „ქართული ოცნება“.

მერწმუნეთ, თუ არ შეიქმნება მესამე ძლიერი ცენტრი, რომელიც 5%-იან ბარიერს გადალახავს, ისევ „ქართული ოცნება“ მოიგებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე.

განწყობა მოსახლეობაში ასეთია – ცუდია „ქართული ოცნება“, მაგრამ იმდენად არის შიში რეპრესიების დაბრუნების და არცთუ უსაფუძვლოდ, რასაც ნაციონალური მოძრაობა ახორციელებდა... ამ ათი წლის განმავლობაში, ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ შეიცვალა ვერც სახე, ვერც ნირი, ვერც პოლიტიკა. 2012 წელს, მეც მიმაჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის „რებრენდიგი“ უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა – იმ გვარებსა და სახელებს დაუბრუნდა, რომლებთანაც ეს რეპრესიები ასოცირდება.

ბოდიშს ვიხდი პატარა პარტიებთან, მაგრამ მათ რა რეიტინგი აქვთ? არის სამეული ხოშტარია-ჯაფარიძე-ვაშაძე, სამივემ ერთად, შეიძლება, კიდევ რაღაც პროცენტი დააგროვოს, ცალ-ცალკე, ხომ შანსი არ აქვთ 5%-იანი ბარიერის გადალახვის? ეს ხალხი გაერთიანებაზე საუბრობს იმიტომ, რომ მანდატები ისევ აიღოს.

მიმართულება სწორია, რომ უნდა გაერთიანდნენ, გამსხვილდნენ, იდეოლოგიაც სწორია – არ გვინდა არც „ქართული ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ ისეთი განცხადება არ უნდა გააკეთონ, რაც ლელომ გააკეთა ბოლო დღეებში.

– ბატონო ვახტანგ, ჩანს, რომ ლელოს ლიდერებსა და ნიკა მელიას, რომელიც საკუთარი პარტიის მმართველობას არ ემორჩილება, კარგი ურთიერთობა აქვთ. რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ ვერსია, რომ ნიკა მელია გამოეყოს ენმ-ს და საკუთარი ამომრჩევლით შეუერთდეს ლელოს საარჩევნოდ? ამით, ნაციონალურ მოძრაობასაც ჩამოაკლებს ელექტორატს და ლელოსაც შემატებს საარჩევნო ხმებს, არ მეთანხმებით?

– თითქოს, ლოგიკურია, მაგრამ ჯერ ერთი, ნაციონალურ მოძრაობაში პროცესი არ დასრულებულა. 2016 წლიდან, არჩევნების წინ ვაცხადებდი ჩემს პოზიციას – არც „ქართული ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა, თავისი განაყოფებით-მეთქი.

შეიძლება, ჯგუფი წარმოვიდგინოთ, ნიკა მელია – ხატია დეკანოიძესა და რომან გოცირიძესთან ერთად, ალბათ, სხვებიც დაემატებიან, მაგალითად, წიკლაური და ა.შ. მგონია, რომ თუ გაიყოფა, ნაციონალური მოძრაობის ელექტორატი ისე გაიყოფა, რომ 5%-იანი ბარიერის დაძლევა არც ერთ მხარეს გაუჭირდება. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ლელოს გაერთიანებაზე, კარი ვისთვის იქნება ღია, ეს კიდევ ცალკე თემაა. ექნება კი, ნიკა მელიას სურვილი, ლელოს გაუერთიანდეს, თუკი მას 5%-იანი ბარიერის დაძლევის რეალური შანსი მიეცემა? ჩემი აზრით, ექნება...

– როგორია თქვენი რეკომენდაცია ოპოზიციური პარტიების მიმართ, რათა მათ შეძლონ და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ საარჩევნოდ, სახელისუფლებო ძალას?

– უნდა გაჩნდეს მესამე ცენტრი, ან რამდენიმე მესამე ცენტრი ისეთი სიძლიერის, რომელთაც არ ექნებათ 5%-იანი ბარიერის დაძლევის პრობლემა. ოღონდ, ამისთვის საჭიროა, ძალიან რთული და ფრთხილი მუშაობა, კონსულტაციები და არ კმარა მარტო ის, რომ „ქართული ოცნება“, თურმე, ევროპაში კი არა, რუსეთში მიგვერეკება. საჭიროა დამატებითი თემები, რასაც ოპოზიცია არ აკეთებს. დღეს ოპოზიციას აქვს ერთი თემა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რომ არის პრორუსული პარტია. როცა ამ პრორუსულობას ომის საფრთხედ ასაღებს „ქართული ოცნება“, ეს ელექტორატზე მუშაობს და მოქმედებს. როცა შენ სხვას არაფერს სთავაზობ ამომრჩეველს, გარდა იმისა, მე პროევროპული ვარ და ამიტომ უნდა დამიჭირო მხარიო... ჯერ ერთი, არ ვიცი, როგორ შეიძლება, პროევროპული იყოს ნაციონალური მოძრაობა?! არასდროს ყოფილა და არც იქნება, თან არ არის ეს საკმარისი. ძალიან რთული ვითარებაა ქვეყანაში, მძიმე სოციალური გარემოა და ამას ემატება კატასტროფული დემოგრაფიული პრობლემები, რადგან მეორე დიდი ნაკადი დაიძრა საქართველოდან. ერთხელ ეს მოხდა შევარდნაძის დროს, როცა ემიგრაციაში წავიდა ამის ნახევარი საქართველო და მაშინაც სწორედ ის თაობა გავიდა, რომელსაც დოვლათი უნდა შეექმნა ქვეყანაში და იგივე მეორდება ახლაც. როცა ასეთი პრობლემები გვაქვს, პარტიებმა ამაზეც უნდა იფიქრონ.

რა ქონებას ფლობს ელენე ხოშტარია

მაკა რუხაძე

სკანდალური ინფორმაცია, რომელიც ერთი წლის წინ გავრცელდა, აქტუალობას წელსაც არ კარგავს. პოლიტიკოსი, რომელსაც საზოგადოება მკვეთრად გამოხატული პროევროპული ღირებულებებით იცნობს, რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სინამდვილეში, ეს მისი სახელოვანი წინაპრის, სოლიკო ვირსალაძის ჰონორარია. გავრცელებული ინფორმაციით, ელენე ხოშტარიას მამის, გოგი ხოშტარიას ანგარიშზე რამდენიმე მილიონი რუსული რუბლი და ათიათასობით დოლარი ჩაირიცხა, დაახლოებით, 140-დან 150 000 აშშ დოლარამდე. თანხის ნაწილი ჩარიცხულია მოსკოვის დიდი თეატრის, ნაწილი – რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის ანგარიშიდან.

მავანნი ამბობენ, რომ პუტინის რუსეთი საავტორო უფლებების მთავარ მებაირახტრედ და დამცველად ვერ გამოდგება – სახელოვანი წინაპრის ჰონორარი მიზეზია, სინამდვილეში, ეს მისი რუსული ჰონორარია. მოკლედ, მიხვდით, ალბათ, „ვერსია“ პოლიტიკური მოძრაობა „დროას“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ელენე ხოშტარიას ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა მანამდე, თვალი მის ბიოგრაფიასაც გადავავლოთ.



ძვირადღირებული სახლები და აგარაკები – ვინ აჩუქა უძრავი ქონება დროა-ს ლიდერის მეუღლეს

ბიოგრაფიული ცნობები

ელენე ხოშტარია დაიბადა თბილისში, 1979 წლის 18 ნოემბერს. უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო, კერძოდ, „მგიმო“-ში (საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი), რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით დაამთავრა.

2002 წელს იყო სტაჟიორი ადამიანის უფლებების „მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფისა“ და რუსეთის ფედერაციაში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოში; 2004 წლიდან, ჯერ საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორია, შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი შსს-ში, მოგვიანებით კი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის უფროსის მოადგილეა; 2004-2006 წლებში, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსია; 2007-2012 წლებში, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილეა; 2012-2016 წლებში, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ GRASS; 2016-2020 წლებში, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; 2020-2022 წლებში, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან: „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“; 2020 წლის 28 დეკემბერს, პარტია „ევროპული საქართველო“ დატოვა, ხოლო 2021 წლის 8 მარტს, პოლიტიკური მოძრაობა „დროა“ დააარსა.

რა ქონებას ფლობს ელენე ხოშტარია

რაც შეეხება ქონებას, როგორც პარლამენტის ყოფილმა წევრმა, ქონებრივი დეკლარაცია 2023 წლის 29 აპრილს შეავსო. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ელენე ხოშტარიას მეუღლე, ირაკლი ბერიძე 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით ფლობს 1 500 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს გარდაბანში, სოფელ ახალ სამგორში, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო. გარდა ამისა, ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია 185.36 კვ.მ. ფართობის ბინა საბურთალოზე, რომელიც 2011 წელს, 145 000 აშშ დოლარად შეუძენია.

ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია რამდენიმე ბინა და აგარაკი, კერძოდ: 1 502 კვ.მ. ფართობის აგარაკი ტაბახმელაში, რომელიც 2021 წელს, მისთვის უჩუქებიათ. სინამდვილეში, 2021 წლამდე, ეს უძრავი ქონება ელენე ხოშტარიას საკუთრებაში იყო და მართალია, დეკლარაციაში მითითებული არაა, ვინ აჩუქა, თუმცა ცხადია, რომ ეს აგარაკი ელენე ხოშტარიამ გადაუფორმა მეუღლეს; კიდევ ერთი ბინა საბურთალოზე, ამჯერად, 60 კვ.მ. ფართობის, რომელიც 2013 წელს, 45 000 აშშ დოლარად შეუძენია; 5 179 კვ.მ. ფართობის აგარაკი თელავში, სოფელ იყალთოში, რომელიც 2021 წელს უჩუქებიათ (ესეც ელენე ხოშტარიას საკუთრება იყო); 46.9 კვ.მ. ფართობის ბინა ბაკურიანში, რომელიც 2020 წელს, 71 920 აშშ დოლარად შეუძენია და ბინა საბურთალოზე, რომლის 25%-იან წილს ფლობს, ამ ბინის თანამესაკუთრეები ირაკლი ბერიძის მშობლები არიან.

ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა, 2009 წლის „ტოიოტა პრიუსი“, რომელიც 2017 წელს, 17 800 ლარად შეუძენია.

იმის დასადასტურებლად, რომ ირაკლი ბერიძის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების მფლობელი მართლაც ელენე ხოშტარია იყო, გთავაზობთ 2020 წლის ქონებრივ დეკლარაციას. ირკვევა, რომ ელენე ხოშტარია ფლობს 5 179 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს და 180.6 კვ.მ. ფართობის სახლს კახეთში, იყალთო, რაშიც 2010 წელს, 10 000 აშშ დოლარი გადაუხდია. ელენე ხოშტარიას საკუთრებაშია 1 502 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ტაბახმელაში, რომელიც 2014 წელს, 15 000 აშშ დოლარად შეუძენია. 2015 წელს, ზუსტად ამავე ტერტორიაზე, ელენე ხოშტარიამ შეიძინა 423 კვ.მ. ფართობის სახლიც, რომლის ღირებულება 170 000 ლარია.

როგორ გაფლანგა GCA-ს მენეჯმენტმა ავტორ-შემსრულებელთა კუთვნილი მილიონები პირადი კეთილდღეობისთვის

მაკა რუხაძე

12 ივნისს, პარლამენტის კულტურის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს. კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, ბაია კვიციანის განცხადებით, ცვლილებების პროექტი ეფუძნება სამ უმთავრეს პრინციპს – გამჭვირვალობას, კარგ მმართველობასა და ანგარიშვალდებულებას. ცვლილებების პროექტის საკანონმდებლო ორგანოში წარდგენას წინ უძღვოდა კერძო აუდიტორული კომპანიის სკანდალური დასკვნა, რომელიც „საქპატენტის“ უფლებამოსილების ქვეშ მყოფი ორგანიზაციის – საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციის (GCA) საქმიანობას ეხებოდა. GCA-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ხელფასებში, ჰონორარებსა და ბონუსებში გაფლანგული მილიონობით ლარი, ძვირადღირებული ავტომობილებით განახლებული ავტოპარკი, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში – ეს იმ დარღვევათა მცირე ჩამონათვალია, რაც კერძო აუდიტორებმა GCA-ში გამოავლინეს, თუმცა ვიდრე ამ სკანდალურ ანგარიშს განვიხილავთ, რომელიც „საქპატენტმა“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, პარლამენტში განხილულ ცვლილებების პროექტს გავეცნოთ.

ძვირადღირებული ავტომობილები, უძრავი ქონება ბათუმში, მოგზაურობა უცხოეთში – კერძო აუდიტორული კომპანიის სკანდალური დასკვნა

ცვლილებების განხილვა პარლამენტში

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების ერთ-ერთი ინიციატორის, ბაია კვიციანის განცხადებით, კანონპროექტის მიზანია, საქართველოში საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება და მისი დაახლოება ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან. მისი თქმით, კანონპროექტის მიღების შედეგად, გაიწერება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნის წესები და პირობები; დაინერგება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის აკრედიტაციის, მისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ახლებური მექანიზმი, ჰონორარის სამართლიანი განაწილებისა და ტარიფების დადგენის პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების უფლებათა ეფექტიან განხორციელებას ქონებრივ უფლებათა კოლექტიური მართვის სფეროში.

ბაია კვიციანის თქმით, ცვლილებათა პაკეტი, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა CLDP-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებით დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით მომზადდა. პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვასთან დაკავშირებით.

კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ირაკლი მეზურნიშვილის განცხადებით, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობისთვის კანონპროექტში ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმები გაიწერა.

„ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ გვჭირდება სისტემური მიდგომა. ავტორებს უნდა მოგცეთ ყოველნაირი მექანიზმი – თქვენი ინტერესების დასაცავად“, – მიმართა ირაკლი მეზურნიშვილმა კომიტეტის სხდომაზე დამსწრე კულტურის სფეროს წარმომადგენლებს.

აუდიტის სკანდალური დასკვნა

სკანდალური დასკვნა, რომელიც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, კერძო აუდიტორულმა კომპანიამ მოამზადა. აუდიტორული კომპანია სახელმწიფო ტენდერის საფუძველზე შეარჩიეს და GCA-ს (საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაცია) შემოწმება დაავალეს. ესაა ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ავტორთა უფლებებს კოლექტიურ საფუძველზე მართავს. 2011 წლიდან დღემდე, GCA-ს თავმჯდომარეა გიგა კობალაძე. GCA-ს უმთავრესი ამოცანაა, შეაგროვოს და სამართლიანად გაანაწილოს ავტორებზე მათი კუთვნილი უფლებების მართვიდან მიღებული ჰონორარები.

მაშ, ასე: მოქმედი კანონმდებლობით, დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულების მიზნით, 2023 წლის 3 თებერვალს, „საქპატენტმა“ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, რომლის მიზანი იყო აუდიტორული მომსახურების შესყიდვა 2021-2022 წლების განმავლობაში, ასოციაციის მიერ ავტორთა ქონებრივი უფლებების მართვის ეფექტიანობის შესამოწმებლად.

„დავაზუსტებთ, რომ აუდიტორული შემოწმების შესახებ „საქპატენტმა“ ოფიციალურად აცნობა ასოციაციას 2022 წლის 19 დეკემბერს და ამ საკითხზე, „საქპატენტში“ შეხვედრისა თუ სხვა არაერთი, მათ შორის, წერილობითი კომუნიკაციის შემდეგ, ასოციაციამ 2023 წლის 12 იანვარს, წერილობით გამოხატა თანხმობა ეთანამშრომლა აუდიტორულ კომპანიასთან და მიეწოდებინა მისთვის ავტორთა ქონებრივი უფლებების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები. გადაწყვეტილებას აუდიტორული შემოწმების შესახებ, წინ უძღოდა არაერთი, მათ შორის, საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია საქართველოში, ავტორთა ქონებრივი უფლებების სფეროში შესაძლო დარღვევების შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებო იყო USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან თანამშრომლობით, აღნიშნულ საკითხზე განხორციელებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები, რომლებიც მიუთითებდნენ ავტორთა ქონებრივი უფლებების მმართველი ორგანიზაციების, მათ შორის, ასოციაციის მხრიდან სავარაუდო გადაცდომების შესახებ, განსაკუთრებით კი ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების პროცესში გაუმჭვირვალობის, თუ სხვა მნიშვნელოვანი დარღვევების თაობაზე“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

მიმდინარე წლის 28 აპრილს, ელექტრონული ტენდერის გზით შერჩეულმა აუდიტორულმა კომპანიამ „საქპატენტს“, როგორც დამკვეთს, წარუდგინა GCA-ს საქმიანობის შემოწმების ანგარიში, რომლის თანახმად, ასოციაციის საქმიანობაში არაერთი ხარვეზი გამოვლინდა. მართალია, აუდიტის ანგარიში 140-გვერდიანია, მაგრამ „საქპატენტმა“ მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე გაამახვილა ყურადღება. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ GCA-მ დაარღვია შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის მეთოდი, კერძოდ, დარიცხვის მეთოდის ნაცვლად, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ე.წ. საკასო მეთოდს იყენებდა. სათანადო ინფორმაციის არარსებობის გამო, აუდიტმა ვერ დაადგინა, თუ რა თანხის გადახდის ვალდებულება გააჩნდა ან გააჩნია GCA-ს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

„ასოციაციის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, აუდიტის ანგარიშში მითითებულია, რომ 2021 წელს, ასოციაციის მიერ, ავტორთა ქონებრივი უფლებების განკარგვის გზით შეგროვებული ჰონორარების ჯამმა შეადგინა 3 822 063 ლარი. ასოციაციის წესდების მიხედვით დამტკიცებული წესის თანახმად, შეგროვებული ჰონორარიდან ადმინისტრაციული ხარჯისათვის ასოციაციას შეუძლია გამოიყენოს არაუმეტეს 20% ანუ იმ სამუშაოსთვის, რომელსაც ასოციაცია ავტორთა ჰონორარების შეგროვებისა და განაწილებისათვის ეწევა, უფლება აქვს, შეგროვებული თანხის არაუმეტეს 20% მიიღოს, თუმცა აუდიტმა დაადგინა, რომ ადმინისტრირებისათვის არა 20%, არამედ 47% გაიხარჯა. უფრო ზუსტად, ასოციაციის მართვის ხარჯმა შეადგინა 1 791 597 ლარი. გასათვალისწინებელია, რომ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივის მიხედვით, მართვის საფასური უნდა იყოს გონივრული და არ უნდა აღემატებოდეს საავტორო და მომიჯნავე

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ გაფლანგა GCA-ს მენეჯმენტმა ავტორ-შემსრულებელთა კუთვნილი მილიონები პირადი კეთილდღეობისთვის

მე-7 გვერდიდან

უფლებების მართვის დოკუმენტირებულ ხარჯებს. საინტერესოა, რომ აუდიტის ანგარიშში, ამ მიგნებასთან ერთად, ასოციაციის განმარტებაცაა მითითებული, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული ხარჯის ასეთი დიდი მოცულობა პანდემიის პერიოდში შემოსავლების შემცირებითა და არსებული ფიქსირებული ხარჯით იყო განპირობებული, მათ განმარტებაზე უფრო საინტერესო კი ის „ფიქსირებული“ ხარჯია, რომელიც პანდემიის პერიოდში, ასოციაციამ ავტორთა ჰონორარებიდან გახარჯა“.

ახლა, დეტალურად განვიხილოთ დარღვევები, რაც კერძო აუდიტორებმა გამოავლინეს. გაირკვა, რომ GCA-ს ადმინისტრაციული ხარჯის ძირითადი ნაწილი თანამშრომლებზე გაცემული შეუსაბამოდ მაღალი სარგებელია. მაგალითად, 2021 წელს, ასოციაციაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულმა პირმა სარგებლის სახით 233 062 ლარი მიიღო. აქედან, ხელფასი – 150 000 ლარი; პრემია – 6 250 ლარი; ბონუსი – 25 000 ლარი და სარგებელი – 51 812 ლარი, რომელიც, თავის მხრივ, უცხოეთში სწავლის ღირებულებას – 28 086 ლარს, ნორმის ზემოთ მივლინების თანხას – 19 417 ლარს, დაზღვევის საფასურს – 2 921 ლარს, სასაჩუქრე ვაუჩერის ღირებულებას – 188 ლარს და ავტომანქანით სარგებლობის ღირებულებას – 1 200 ლარს მოიცავს. გარდა ამისა, 2021 წელსვე, ასოციაციამ ავტორთა ქონებრივი უფლებების მართვის, მათი კუთვნილი ჰონორარების შეგროვებით მიღებული თანხიდან – 42 316 ლარის ღირებულების ავტომობილი შეიძინა.

აუდიტის ანგარიშით დადგინდა, რომ 2021 წლის მსგავსი მდგომარეობა დაფიქსირდა 2022 წელსაც. კერძოდ, GCA-ს ავტორთა უფლებების მართვის შედეგად შეგროვებული 5 412 250 ლარიდან, ასოციაციის მართვის ხარჯმა, 20%-ის ნაცვლად, 40% ანუ 2 158 279 ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით გაზრდილი შემოსავლებიდან, 2022 წელსაც, მნიშვნელოვანი თანხები ქონებრივი უფლებების მფლობელ ავტორთა ნაცვლად, GCA-ს ადმინისტრაციასა და მაღალ პოზიციებზე დასაქმებულ პირებს მოხმარდა.

„მაგალითად, მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებულმა იგივე პირმა, 2022 წელს, სარგებლის სახით, 336 569 ლარი მიიღო, მათ შორის, ხელფასი – 143 750 ლარი; პრემია – 27 500 ლარი; ბონუსი – 37 500 ლარი და სარგებელი – 127 819 ლარი, რომელიც მოიცავს სწავლის ღირებულებას – 77 957 ლარს, ნორმის ზემოთ მივლინების თანხას – 42 516 ლარს, დაზღვევის ღირებულებას – 5 959 ლარს, სასაჩუქრე ვაუჩერის ღირებულებას – 188 ლარს და ავტომანქანით სარგებლობის ღირებულებას – 1 200 ლარს. ამავდროულად, ასოციაციამ 2021 წელს თუ ავტომობილი შეიძინა, 2022 წელს, შეისყიდა უძრავი ქონება ქალაქ ბათუმში, რომლის ღირებულება 146 669 ლარია. ამ ხარვეზების გარდა, აუდიტის ანგარიშში მითითებულია კიდევ ერთი ნაკლოვანება. კერძოდ, დგინდება, რომ ასოციაცია სადეპოზიტო ანაბარზე დარიცხულ თანხას – 2021 წელს – 2 804 ლარს, ხოლო 2022 წელს – 9 599 ლარს არამიზნობრივად იყენებდა და ავტორებზე განაწილების ნაცვლად, ადმინისტრაციული საჭიროებებისთვის ხარჯავდა“.

2023 წლის 7 აპრილს, GCA-ს წერილობით მიმართა „საქპატენტს“ და აცნობა, რომ 2023 წლის 23 აპრილს, ტარდებოდა ასოციაციის საერთო კრება, რომელზეც განიხილებოდა 2022 წლის საქმიანობის შეჯამება და ანგარიშის დამტკიცება, ასოციაციის წესდებასა და ავტორთა საბჭოს დებულებების ახალი რედაქციების მიღება, ავტორთა საბჭოს, გამგეობისა და თავმჯდომარის არჩევა, ასევე, ასოციაციის საქმიანობის მომავალი სტრატეგიული გეგმების წევრებისთვის გაცნობა.

„საქპატენტმა“ წერილობით მიმართა ასოციაციას საერთო კრების გადადებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიმდინარეობდა აუდიტორული შემოწმება და

არსებობდა ძესაძლებლობა, ოოძ ძეძოხძების დასრულების შემდგომ, აუდიტის ანგარიშში აისახებოდა ასოციაციის საქმიანობის შესახებ რიგი მიგნებები და გაიცემოდა შესაბამისი რეკომენდაციები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო აუდიტის შედეგების სრულყოფილი გაცნობა და ასოციაციის სტრატეგიული გეგმებისა და მომავალი საქმიანობის აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განსაზღვრა.

„მიუხედავად „საქპატენტის“ დასაბუთებული მოთხოვნისა, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ არ გადადო საერთო კრება, უფრო მეტიც, კიდევ ერთხელ აირჩიეს მოქმედი გამგეობის თავმჯდომარე, თუმცა როგორც ირკვევა, საერთო კრების კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ ჩატარებისა და პროცედურული დარღვევების გამო, ასოციაციის საერთო კრების შედეგები საჯარო რეესტრმა არ დაარეგისტრირა. ამ საკითხზე საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი ხარვეზი საჯაროა და გამოქვეყნებულია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო დარღვევებს შორის, ისეთი მნიშვნელოვანი გადაცდომებია მითითებული, როგორებიცაა: წევრთა საერთო კრების ოქმი არ შეიცავს მოქმედი კანონმდებლობით კრების ოქმისთვის განსაზღვრულ მონაცემებს; მითითებას საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე; წევრთა საერთო კრების ოქმით მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებს, ამასთან, დღის წესრიგის ორ საკითხს წარმოადგენდა წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, თუმცა კრების ოქმით არ დგინდება კრების მიერ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ფაქტი; წესდებით არ დგინდება საზოგადოების წევრის მიღებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო; ასევე, წესდებით სრულყოფილად არ დგინდება გამგეობის სხდომის მოწვევის წესი და პროცედურა; სარეგისტრაციოდ წარდგენილია წესდების ახალი რედაქცია, რომლითაც შესაძლოა, განხორციელდეს სუბიექტის რეგისტრირებული მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის რეგისტრაცია, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილად შედგენილი სადამფუძნებლო შეთანხმება ან წესდება“.

აუდიტის ანგარიშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ავტორთა ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებელია ეფექტიანი ზომების დროულად მიღება. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ მართვასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გასწორება. სწორედ ამ მიზნით, უცხოელი პარტნიორების – CLDP, USAID ჩართულობითა და მოწვეული უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტთან ერთად მომზადდა ცვლილებების პროექტი, რომლის განხილვაც პარლამენტში 12 ივნისს დაიწყო.

კანონში შესატანი ცვლილებები, როგორც სახელოვნებო წრეებში ამბობენ, ვითარებას შეცვლის, თუმცა კანონს უკუქმედების ძალა, ალბათ, არ ექნება, შესაბამისად, ავტორ-შემსრულებლები კუთვნილ თანხებს ვერ დაიბრუნებენ, თუმცა კერძო აუდიტის დასკვნა იმის რეალური საფუძველია, რომ GCA-ს საქმიანობით შესაბამისი სამართალდამცავი უწყებები დაინტერესდნენ, თანაც, აუდიტორებმა მხოლოდ ორი წლის ანგარიშები შეისწავლეს. იმის გათავლისწინებით, რომ GCA-ში აუდიტი წლებია, არ ჩატარებულა, არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ საერთო ჯამში, საქმე შესაძლოა, 14 მილიონის გაქრობასთან გვქონდეს ანუ GCA-ს ხელმძღვანელმა და სხვა თანამდებობაზე დასაქმებულმა პირებმა ხელოვანთა კუთვნილი სწორედ ეს თანხა გამოიყენეს პირადი მიზნებისთვის, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც სამართალდამცავებს ეკუთვნით.

სამართალი

№21 14 ივნისი 2023 წ

17 წლის გოგო გააუპატიურეს, სასტიკად აწამეს, მოკლეს და გვამი ხევში გადააგდეს

საზარელი მკვლელობა, რომელიც გამომძიებელმა სიზმრით გახსნა

ბათო ჯაფარიძე

სტატისტიკას ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ სავარაუდოდ, ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მესამე ადამიანი მაინც აქცევს ყურადღებას სიზმარს. მეტიც, წიგნებიც კი არსებობს სიზმრების ახსნაზე და დღემდე შემორჩენილია ტრადიცია, რომ თუ ცუდ სიზმარს წყალს მოუყვები, არ ახდება. ჰოდა, ასეა დღემდე, ვიღაც წყალს უყვება სიზმარს, ვიღაც გაღვიძებისთანავე ივიწყებს, ვიღაც წიგნებში ეძებს ახსნას. არის შემთხვევები, როცა სიზმარი თითქოს გვიხდება – ცუდიც და კარგიც, მაგრამ ალბათ, სიზმარი იმიტომ ჰქვია, რომ ხანდახან რაღაცას ემთხვევა, ან ქვეცნობიერს სურს დამთხვევა. ალბათ, არც ის არ არის უცხო, რომ ბევრ ადამიანს, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, სიზმარშიც სამსახური ესიზმრება და შესაძლოა, ისეთი რამ გაახსენდეს სიზმრად, რომელსაც ცხადში ყურადღება არ მიაქცია. შემთხვევა, რომელსაც ახლა გიამბობთ, შეიძლება ითქვას, უნიკალურია, მაგრამ მაშინ გამომძიებელს არც სასამართლოში და არც კოლეგებისთვის არ უთქვამს, რომ წლების შემდეგ გახსნილი დანაშაულის მიზეზი... სიზმარი იყო.

„70-იანი წლების დასაწყისი იყო, მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა და ეს მკვლელობა ჩემთვის მესამე საქმე იყო. რატომ მანდეს მკვლელობა? იმიტომ, რომ ახალი ვიყავი, იმიტომ, რომ გაუხსნელი საქმეები არ მეწერა და კიდევ იმიტომ, რომ პატრონი არ მყავდა. ერთი შეხედვითაც ცხადი გახლდათ, რომ აღნიშნულ საქმეს მხოლოდ შემთხვევით თუ გახსნიდი, იღბლის წყალობით, მაგრამ ეს იღბალიც არ ჩანდა“, – იხსენებს მორიგ საქმეს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა თბილისის გასასვლელთან, ხევში, 17 წლის გოგოს ცხედარი ნახეს. ის გაუპატიურებული და სასტიკად ნაწამები გახლდათ. როგორც მოგვიანებით ექსპერტმა თქვა, გოგონა ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ აწამეს, ასე განსაჯეთ, ცალი თვალიც კი რაღაც ბასრი, მჩხვლეტავი საგნით ამოუღეს (ვარაუდობდნენ, რომ ლურსმნით), შემდეგ გაგუდეს და გადააგდეს. გარდაცვლილის ვინაობა მალე დადგინდა, გოგონას ოჯახი სამი დღის განმავლობაში ეძებდა. მას არა მარტო მშობლები, არამედ თანაკლასელები, სამეგობრო თუ სამეზობლო ზედმეტად დადებითად ახასიათებდა. კარგი მოსწავლე, დამჯერი ბავშვი, არაფერში ყოფილა შემჩნეული, სამედიცინოზე სურდა ჩაბარება, გამოცდებისთვის ემზადებოდა. იმ დღეს შინიდან გავიდა და... არავინ იცოდა, როგორ აღმოჩნდა ქალაქის გარეუბანში, ვის შეიძლებოდა გაჰყოლოდა იქ, ან რატომ უნდა გაჰყოლოდა. რეალურად, ძალოვნებმა უზარმაზარი სამუშაო ჩაატარეს, გამოჰკითხეს ყველა, ვისი გამოკითხვაც კი შეიძლებოდა, ეძებდნენ მოწმეებს, მაგრამ ვერავინ ვერაფერი თქვა. ოჯახის წევრებმაც კი ვერ დაასახელეს ადამიანი, რომელსაც შეიძლებოდა ასე სასტიკად გაემეტებინა მათი შვილი. დედ-მამა ჩვეულებრივი, რიგითი მშრომელები იყვნენ, მტერი არ ჰყავდათ, უმცროსი ძმა 11 წლის იყო და არარეალური იყო, ვინმეს მასზე ეძია შური. მოკლედ, ხანგრძლივი და მომქანცველი სამუშაოს შემდეგ, სამართალდამცავებმა ხელები უღონოდ ჩამოუშვეს – საქმე გაუხსნელი დარჩა...

ჰო, ცალკე თემაა აგენტურული ქსელი და ე.წ. კანონიერი ქურდები. მათაც არაფერი იცოდნენ. თავის მხრივ, „კანონიერმა ქურდებმა“ დაამატეს, რომ თუ დამნაშავეს დაიჭერდნენ, ის სასამართლომდე ვერ მიაღწევდა, რადგან ასეთი სასტიკი დანაშაული არც მათ „გაგებაში“ ჯდებოდა და არც გამართლება არ ჰქონდა. როგორც ისინი ამტკიცებდნენ, სავარაუდო დამნაშავეს თავადაც ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. გამომძიებლებმა იმ კრიმინალების კარტოთეკებიც გადაქექეს, რომლებიც სასჯელს გაუპატიურებაზე იხდიდნენ, მაგრამ საეჭვო ვერც ამ მიმართულებით იპოვეს. ვიღაცას ალიბი ჰქონდა, ვიღაც ისევ გისოსებს მიღმა იყო... ვისაც ალიბი ჰქონდა, ისინი მაინც გადაამოწმეს, სინჯი აუღეს, გოგონას სხეულში აღმოჩენილ სპერმის ნიმუშს შეადარეს, მაგრამ ამაოდ. ექსპერტები ზუსტად ვერ ამბობდნენ (მაშინ ამ დონეზე არ იყო მედიცინა), თუმცა ვარაუდობდნენ, რომ გარდაცვლილზე, ყველაზე ცოტა, ორმა მამაკაცმა იძალადა. ეს ყველაფერს კიდევ უფრო ართულებდა – წესიერი, დამჯერი გოგონა ორ მამაკაცს ჩაუჯდა მანქანაში და ქალაქგარეთ გაჰყვა? რატომ? რისთვის? ვის ენდო და რაც მთავარია, რატომ ენდო გოგონა? გამოდიოდა, რომ ის მამაკაცი, ან მამაკაცები მისთვის ძალიან კარგად ნაცნობები იყვნენ, იმდენად კარგად, რომ მანქანაში თამამად ჩაუჯდა და არ შეშინებია, როცა ქალაქგარეთ გაჰყავდათ. იმავე ექსპერტების დასკვნით, გოგონა ადგილზე ცოცხალი მიიყვანეს, ხევის პირას გაგუდეს (ის ადგილი დეტალურად იყო შესწავლილი) და შემდეგ გადააგდეს. იმის გამო, რომ მკვლელობის ადგილი ბალახით გახლდათ დაფარული, კვალის აღებაზე საუბარიც ზედმეტი იყო.

„აი, ასეთი მკვდარი საქმე დამკიდეს კისერზე და ახალგაზრდული ენთუზიაზმისა და მონდომების მიუხედავად, ვერაფერს გავხდი. რჩევას ვეკითხებოდი გამოცდილ კადრებს, არ ვასვენებდი, არ ვნებდებოდი, მაგრამ ბოლოს ყველამ ხელი ჩაიქნია. ყველამ, მაგრამ არა – მე და ჩემთვის დავიფიცე, რომ ადრე თუ გვიან, ამ საქმეს გავხსნიდი. აღნიშნული მკვლელობის შემდეგ, ყველა დაკავებულს ვეუბნებოდი, რომ სასჯელს საგრძნობლად შევუმსუბუქებდი, თუ ჩემთვის საინტერესო მკვლელობაზე რამე ღირებულს მეტყოდნენ, მაგრამ ყველა დანანებით აქნევდა თავს – არავინ არაფერი იცოდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ასე გავიდა რამდენიმე წელი. სამართალდამცავების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაივიწყა გოგონას მკვლელობა და დაივიწყა იმიტომ, რომ სასიამოვნო მოსაგონებელი არ იყო და თან საქმე ვერ გახსნეს, თუმცა ყველამ იცოდა, რომ საქმის უშუალო გამომძიებელს არაფერი დავიწყებია და ის მუდმივად ეძებდა, ცდილობდა, რამე ახალი ეპოვა. წელიწადში რამდენჯერმე, იმ ადგილზე მიდიოდა, სადაც გოგონა იპოვეს, თითქოს რაღაცას თუ ვიღაცას ელოდა, თითქოს სასწაული უნდა მომხდარიყო. აკი, ბოლოს თქვა კიდეც, რაღაც ძალა მექაჩებოდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რა ძალა იყო, ამიტომაც ვემორჩილებოდი, მივდიოდი მკვლელობის ადგილზე და იქ საათობით ვიდექი, ვიჯექი, ვიწექი და ვფიქრობდი, მაგრამ როცა შინ ვბრუნდებოდი, წარმოდგენა არ მქონდა, რაზე ვფიქრობდი, რას ვაკვირდებოდი...

„ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება, ვიღაცისთვის სისულელე იყოს, ვიღაცისთვის – სრული მისტიკა, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა. გარდაცვლილი გოგონა დამესიზმრა, რომელმაც იმ ადგილიდან, სადაც გარდაცვლილი ვიპოვეთ, დაახლოებით, 200 მეტრში, სამანქანო გზასთან ახლოს, ხესთან მიმიყვანა, მიწა მტკაველის სიღრმეზე ამოთხარა და იქიდან რკინის ღილი ამოიღო. სულ ეს იყო, გამეღვიძა და ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა. ირიჟრაჟა თუ არა, „გარაჟიდან“ ბარი ავიღე და მანქანით იმ ადგილზე წავედი. ხე მალე ვიპოვე, გული ბაგა-ბუგით მიცემდა, ამოვთხარე და... რკინის ღილი... ადრე, როგორც ახლა, ჯინსებს რკინის ღილები ჰქონდა და ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ჯინსის ღილი იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძიებელმა ღილი ჯერ ექსპერტებს მისცა, შემდეგ კი განყოფილებაში, მაგიდაზე დადო და კოლეგებს ყველაფერი მოუყვა, რისი მოყოლაც შეიძლებოდა.. ზოგს გაეცინა, ზოგს გაუკვირდა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ღილის მიხედვით, დამნაშავის დადგენა შეუძლებელი გახლდათ. ჯერ ერთი, რამდენიმე წელი იყო გასული, ღილიც ჟანგიანი იყო და ბევრი ჩაკირკიტების მიუხედავად, ექსპერტიზამ ვერ იპოვა ისეთი რამ, რასაც ძიება მოეჭიდებოდა – ნაჭრის ფრაგმენტს, ან ინიციალს, რადგან ჩვეულებრივი ღილი იყო. გამომძიებლებმა კარგა ხანს ატრიალეს ხელში დაჟანგებული ღილი, ვერაფერი მოიფიქრეს, ვერაფერს მიხვდნენ და დაიშალნენ. მხოლოდ ერთი დარჩა ბოლომდე და ღილს აკვირდებოდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა, თითქოს გონებას წიხლს აჭერდა. ბოლოს კი, ბატონ თენგიზს მიუბრუნდა და ჩუმად უთხრა: „ერთადერთი, რაც გავიხსენე, ის არის, რომ მეზობლების დაკითხვის დროს, სამი მოზარდი ცალკე იდგა, 15-16 წლის ბიჭები იქნებოდნენ, სამივეს ჯინსი ეცვა, ვიფიქრე კიდეც, ნეტავ სად იშოვეს-მეთქი და ერთს ღილი აკლდა. ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ ქამარი არ ჰქონდა და ღილის ადგილზე, ლურჯი პლასტმასის დამალვას პერანგის ჩამოწევით ცდილობდა“.

შესაძლოა, ბევრს ეს სრულ სიგიჟედ მოჩვენებოდა, მაგრამ სამივე მოზარდის ვინაობა მალე დადგინდა – გარდაცვლილი გოგონას მშობლებმა თქვეს, რომ ბიჭები მათი მეზობლები იყვნენ, შეძლებული ოჯახების შვილები, ორი ისევ იმ კორპუსში ცხოვრობდა, ერთი კი სხვაგან იყო გადასული. გარდაცვლილის სხეულიდან აღებული სპერმის ანალიზის პასუხები, რა თქმა უნდა, არქივში ადვილად მოიძებნა და სამივე ბიჭს სპერმის ჩაბარება ოფიციალურად მოსთხოვეს.

„პასუხი საჭირო არ იყო, როცა ისინი განყოფილებაში დავიბარეთ და ვუთხარით, რაც უნდა გაეკეთებინათ, მათ სახეზე ჯერ გაოცება, შემდეგ კი შიში აისახა.სწორედ სახემ გასცა სამივე და ამიტომ, როცა ანალიზები ჩააბარეს, ისინი შინ არ გავუშვი და „აბეზიანკაში“ შევაგდე. პასუხი მზად მეორე დღეს იყო – გოგონას სხეულში, სწორედ მათი სპერმა აღმოჩნდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საქმე გახსნილი იყო და ახლა სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, ვის რამდენი წლით გაუშვებდა ციხეში. დაკითხვის დროს, დაკავებულებმა აღარეს, რომ გოგონა მანქანაში ჩაისვეს, უთხრეს, ადგილამდე მიგიყვანთო, შემდეგ ერთ-ერთმა თქვა, ამას მოვწონვართ, მანქანაში ისე რატომ ჩაგვიჯდებოდაო, მერე თავზე სპორტული გადააფარეს და ქალაქიდან გაიყვანეს, შემდეგ კი... თითქოს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, გოგოს ვინ მეტ ტკივილს მიაყენებდა. საქმეს გრიფით საიდუმლო მაშინვე დაედო, რადგან... საბჭოთა კავშირში და მით უმეტეს, მზიან, ზღვიან საქართველოში, ასეთი დანაშაული არ უნდა გახმაურებულიყო. პროცესამდე, ერთ-ერთი დაკავებული საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს, თუმცა მისი სუიციდის არავის სჯეროდა, რადგან თვალიდან ლურსმანი მოუჩანდა, მეორე დაკავებული უკვე ზონაზე, ხერხემალში გადაამტვრიეს და სამუდამოდ ეტლს მიაჯაჭვეს, მესამე კი... მესამეს, შიშის გამო, ფსიქიკური პრობლემები დაეწყო, რის გამოც ციხესა და ფსიქიატრიულს შორის იხდიდა სასჯელს.

გვამებით ვაჭრობის სკანდალური სქემა

რატომ მარხავდნენ მოსკოვის სასაფლაოზე ერთ საფლავში ორ მიცვალებულს – როგორ გახსნა საქმე ქართველმა ძალოვანმა

ბათო ჯაფარიძე

სიკვდილი და გადასახადები – ორი რამ, რასაც ვერავინ გადაურჩება. იმის მიუხედავად, რომ 21-ე საუკუნეა, სხვადასხვა ერებში მაინც შემორჩენილია დაკრძალვის ისეთი რიტუალები, როგორებიც ცოტა უცნაურად გვეჩვენება. ბევრ ქვეყანაში გვამის კრემაციაა მიღებული, ბევრგან ათას ნივთებს ატანენ მიცვალებულს. მოკლედ, შესაძლოა, გადასახადები დამალო, რაღაც „იჩალიჩო", მაგრამ სიკვდილს ვერავინ გადაურჩება.

„ახლა, სამძიმარს ხშირად ტელეფონით უცხადებენ ხოლმე, ჩაერთვება ვიღაც ეთერში, წაიტირებს და დამთავრდა. ადრე კი საქართველოში ლამის ყველგან დავდიოდით – სამძიმარსა თუ გასვენებაში და არც საბჭოთა რესპუბლიკებში იყო უცხო მოგზაურობა, მეგობარი რომ უკანასკნელ გზაზე გაგვეცილებინა. მაშინ სიკვდილსაც თითქოს სხვა ფასი ჰქონდა. ახალგაზრდა თუ იღუპებოდა ავარიით ან უკურნებელი სენით, მთელი საქართველო იგებდა, მთელი საქართველო გლოვობდა. ახლა კი, გავრცელდება სოცქსელში რამე, ვივიშვიშებთ ორი-სამი დღე და მერე ყველას ყველაფერი ავიწყდება", – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

80-იანი წლების მიწურულს, მაშინ, როცა საუბარი „პერესტროიკაზე" დაიწყო, ქართველ გამომძიებელს მოსკოვში, ბავშვობის მეგობარი, ავტოავარიაში დაეღუპა. ჰო, ბავშვობის მეგობარი, მასთან ერთად სოფელში გაზრდილი რუსი ბიჭი, რომლის მამაც სამხედრო იყო და შემდეგ სხვა რესპუბლიკაში წავიდა სამსახურისთვის, შემდეგ – კიდევ სხვაგან, ბოლოს კი, მოსკოვში დაფუძნდა. ბატონი თენგიზი ტელეფონში ატირებულ მეგობრის ცოლს დაპირდა, გასვენებისთვის აუცილებლად ჩამოვალო და წავიდა კიდეც.

„ცოდვა გამხელილი სჯობს – მოსკოვში მხოლოდ გასვენებისთვის არ მივდიოდი. იყო რაღაცები, რაც თბილისში უკვე არ იყიდებოდა და მინდოდა, იქ მეყიდა, ჩამომეტანა, იქნებოდა ეს პროდუქტი თუ ტანსაცმელი. ამიტომ, ცოლმა გრძელი სია ჩამომიწერა, ფულიც წავიღე და წავედი. გასვენების წინა დღეს ჩავედი, მეორე დღეს კი მეგობრის ოჯახში მივედი და მართლა გულით დავიტირე. მისი ცოლ-შვილი არ მშორდებოდა, საქართველოში სტუმრად არაერთხელ იყვნენ ნამყოფები და ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა", – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გასვენების მეორე დღეს ქართველი ძალოვანი მაღაზიებში წავიდა, ივაჭრა, რაღაც იშოვა, რაღაც – ვერა და მესამე დღეს ისევ საყიდლებზე წავიდა. უკან გამოფრენას ორი დღის შემდეგ აპირებდა, ამიტომ ძეხვისა და სხვა საკვები პროდუქტების შეძენა ბოლო დღისთვის გადადო, მაგრამ... საღამოს, სასტუმროს ნომერში მეგობრის ცოლ-შვილი ეწვია, ძალიან უცნაური თხოვნით. მათ ორი დღის წინ დასაფლავებული კაცის ამოთხრა სურდათ, რადგან ოჯახის რელიქვია – ოქროს ყელსაბამი გაჰყვა, წმინდა გიორგის ოქროსავე საკიდით.

„სად გამახსენდებოდა ოქრო და გულსაკიდი, ჩემი კოლია დავკარგე და ცა ჩამომენგრა თავზე. ახლა კი... ის თაობიდან თაობას გადაეცემა, ჩემი ქმრის გვარის მამაკაცების რელიქვიაა, ახლა ჩემს შვილს უნდა ეკეთოს, მაგრამ მივხვდით, რომ ისიც მასთან ერთად დავმარხეთ. კი იცი შენ, ფინანსურად არ გვიჭირს, მაგრამ რელიქვიაა და ეგებ, სამართალდამცავებთან მიშუამდგომლო, რომ გვამის ამოთხრის უფლება მომცენ", -იცრემლებოდა ცოლი.

რა თქმა უნდა, ქართველ ძალოვნებს კავშირები მთელი საბჭოეთის მასშტაბით ჰქონდათ და არც მოსკოვი იყო გამონაკლისი. ბატონმა თენგიზმა ერთ-ერთ მეგობარს დაურეკა და უცნაური თხოვნის შესახებ აუწყა. იქაურმა ძალოვანმა მარტივად გადაწყვიტა – ორი მუშა იქირავეთ, ამოათხრევინეთ და შემდეგ დაამარხვინეთ. ეს არც კრიმინალია, არც საგამოძიებო მოქმედება, ოჯახი წყვეტს და ვერავინ გაიგებსო. მისივე თქმთ, სავარაუდოდ, სასაფლაოს დირექტორსაც დასჭირდებოდა ერთი-ორი კაპიკი, მაგრამ ოჯახი ყველაფერზე თანახმა იყო. მოკლედ, მეორე დღეს ორი მუშაც ნახეს და ოჯახი გვამის ამოსათხრელად წავიდა, თან მცირე სუფრაც გაიყოლეს, სასმელით, შესანდობარი კიდევ ერთხელ ვთქვათო. მუშებმა თხრა დაიწყეს, სასახლეც გამოჩნდა და ამ დროს სასაფლაოს დირექტორი მოვარდა ყვირილით, რას აკეთებთო? გარდაცვლილის შვილმა ყველაფერი აუხსნა, მერე გვერდით გაიყვანა და ჯიბეში ფულის ჩადება დააპირა, მაგრამ დირექტორი გაგიჟდა, რა ფული, რის ფული, მილიციას გამოვუძახებო, დაიმუქრა. საქმეში ბატონი თენგიზი ჩაერია, თანამშრომლის მოწმობა დაანახა და დირექტორიც ბუზღუნით გაბრუნდა, მერე ნაბიჯს აუჩქარა, ბოლოს კი გაიქცა.

მიწიდან ამოღებულ სასახლეს ჯერ ლურსმნები ამოაძვრეს (სახურავის დაჭედება ჩვეულებრივი ამბავი იყო), მერე ფრთხილად გადახადეს და... ცოლს გული წაუვიდა, მამაკაცებმა კი გაოცებისგან ერთმანეთს გადახედეს – კუბოში, მამაკაცთან ერთად, ახალგაზრდა ქალის გვამი იყო ჩატენილი. პრინციპში, რაღა ჩატენილი, გვამს ზემოდან ედო. ქართველმა გამომძიებელმა ერთ-ერთი მუშა მილიციაში დასარეკად გაგზავნა, დააბარა, სასწრაფოც გამოიძახეო, თავად კი მეგობრის ცოლის მოსულიერებას შეუდგა. ახლა ცხადი იყო, რატომ გარბოდა თავქუდმოგლეჯილი სასაფლაოს დირექტორი და რატომ ამბობდა უარს შეთავაზებულ ქრთამზე. მილიციის თანამშრომლები მალე მოვიდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანას მოასწრეს და გაოცდნენ – ასეთი რამ მანამდე არ ენახათ. ქალიც მალე ამოიცნეს, სწორედ იმ დღეს ვიღაც კაცი ჩიოდა, ცოლი დავკარგეო, მაგრამ რადგან 72 საათი არ იყო გასული, განცხადების დაწერის შესაძლებლობა არ მისცეს, თუმცა ოპერმუშაკს, რომელსაც ქმარი თვალწინ დაკარგული ცოლის ფოტოს უტრიალებდა, ქალი მაშინვე ეცნო. მამაკაცი ადგილზე მიიყვანეს და მან ცოლი ამოიცნო, თუმცა ვერც ის და ვერც მეორე მიცვალებულის პატრონები ვერ ხვდებოდნენ, რა კავშირი უნდა ჰქონოდათ მათ ერთმანეთთან და როგორ აღმოჩდნენ ერთსა და იმავე საფლავში. მთავარი სასაფლაოს დირექტორის მოძებნა იყო, რომელიც უკვალოდ გაქრა.

„გარდა იმისა, რომ საქმე ძალიან საინტერესო ჩანდა, მეგობრის ოჯახსაც ვერ მივატოვებდი ასეთ გაუგებრობაში. ქალის ჭკუა რა ვთქვი, გარდაცვლილი მეგობრის ცოლმა ისიც კი ივარაუდა, ალბათ, ჩემი ქმრის საყვარელი იყო, ვინმეს ფული გადაუხადა და თან გაჰყვაო. არადა, ექსპერტიზის დასკვნა უკვე მაგიდაზე გვედო, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა, რომ ქალი სავარაუდოდ მანქანის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა", – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სასაფლაოს დირექტორი ვერა, მაგრამ ძალოვნებმა მესაფლავეები დააკავეს, რომლებმაც პირველივე წამორტყმის შემდეგ აღიარეს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ანუ მას შემდეგ, რაც სასაფლაოს დირექტორი შეიცვალა, ახალი დირექტორი აიძულებდა, კვირაში ერთხელ, ან ორჯერ, გვამი ამოეთხარათ და კუბოში მეორე გვამიც ჩაედოთ. ამისთვის მესაფლავეებს კარგად უხდიდნენ, მაგრამ მათ ზუსტად იცოდნენ, რომ კრიმინალს სჩადიოდნენ და ამიტომ, მუდმივად შიშის ქვეშ გახლდნენ. ვის და რა მიზნით მოჰქონდა გვამები, მათ არ იცოდნენ, თუმცა აღიარეს, რომ დაახლოებით, 40-50 საფლავი გათხარეს ახლიდან და ყველა შემთხვევაში, საქმე ახალ მიცვალებულს ეხებოდა. ძველი საფლავები რომ გაეთხარათ, ჭირისუფალი მიხვდებოდა, ახლად დასაფლავებულის ამოთხრა კი მარტივი იყო, მერე ახლად მიყრილი მიწაც არ იწვევდა ეჭვს.

სამართალდამცავებმა თავიდან გადაწყვიტეს, რამდენიმე ახალი საფლავი გაეთხარათ, მერე გადაიფიქრეს, რადგან პანიკას გამოიწვევდა. მესაფლავეებს ორი-სამი საფლავი ახსოვდათ, რომლებშიც ორი-ორი მიცვალებული იყო, ამიტომ დირექტორის ძებნა გააძლიერეს და... დააკავეს. დირექტორმა თავიდან ყველაფერი იუარა, მაგრამ მერე, როცა რამდენიმე საფლავის ფოტო დაუდეს და მესაფლავეების ჩვენებაც წააკითხეს, ალაპარაკდა.

„კრიმინალური დაჯგუფებაა, რომელიც შემითანხმდა, რომ ყველა მოტანილი გვამის სანაცვლოდ ორიდან ხუთი ათასამდე გადაიხდიდა. დავთანხმდი და ისინი არა მარტო საკუთარი გვამებით მოდიოდნენ, არამედ სხვებსაც ეხმარებოდნენ. მაგალითად, ვიღაცას ავარია შეემთხვა და გვამის მოცილება სურდა, მიდიოდა ამათთან და ესენი ფულს ართმევდნენ, გვამი მიჰქონდათ და მე ვამარხვინებდი. ვიცი, არასწორი საქციელია, მაგრამ მეშინოდა. წინა დირექტორი არ დათანხმდა და აქ არის ისიც დამარხული. არ მინდოდა, საკუთარ სასაფლაოზე, ვინმეს საფლავში აღმოვჩენილიყავი. დარწმუნებული ვარ, უარის შემთხვევაში, მეც მომკლავდნენ და დამმარხავდნენ", – განაცხადა დირექტორმა.

კრიმინალური დაჯგუფების წევრების აყვანა მარტივი საქმე არ გახლდათ. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და როგორც აღმოჩნდა, ბრძოლისთვის მუდმივად მზად. ამიტომ, „მურ"-მა სპეცდანიშნულების რაზმი მოითხოვა და მიიღო კიდეც. დაჯგუფების დაკავების დროს, ორი მათგანის ლიკვიდაცია გახდა საჭირო, დაიჭრა სამი სპეცრაზმელი და ხელყუმბარით აფეთქებულ იქნა მილიციის ორი მანქანა. საბოლოო ჯამში, ყველა დამნაშავე სასამართლოს წინაშე წარსდგა.

„პროცესი ხმაურიანი იყო, მაშინ მთელი მოსკოვი ამ თემაზე საუბრობდა. ბევრი საფლავის ეგსგუმაცია მოხდა, ბევრგან ნახეს ორ-ორი მიცვალებული, რამდენიმე საფლავი კი ტყუილად გახსნეს. ამას გარდა, გაიხსნა ათეულობით საქმე, მიცვალებულებში ამოიცნეს ათეულობით უგზო-უკვლოდ დაკარგული და... საბჭოთა კავშირი, როგორც იმპერია, უკვე შერყეული იყო, უკვე დაშლისკენ მიდიოდა და ამას გრძნობდა ყველა. ამიტომ, მთავარი არა კრიმინალური, არამედ პოლიტიკური მოვლენები იყო და ეს ამბავიც მალე მიივიწყეს. მალე პროდუქტებსა თუ ტანსაცმელზე, მოსკოვშიც აღარ ღირდა წასვლა იმიტომ, რომ დახლებიდან იქაც ყველაფერი გაქრა და უზარმაზარ იმპერიაში შიმშილი დაიწყო", – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ბათო ჯაფარიძე

ადრეც და ახლაც მოსამართლეზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, კომუნისტების დროს მოსამართლეები ბევრად თავისუფალნი იყვნენ, როგორც საზოგადოების, ისე ზოგადად, ხელისუფლების წნეხისგან და განაჩენთა უმრავლესობა სამართლიანი იყო. უფრო ზუსტად, თუ ზემდგომებს პოლიტიკური ინტერესი არ ჰქონდათ და საქმე გავლენიანი პირის ნათესავს არ ეხებოდა, მოსამართლეს შეეძლო, საკუთარი შეხედულებისამებრ ემოქმედა. ბევრი იტყვის, ახლაც ასეაო, მაგრამ ნურას უკაცრავად – კომუნისტების დროს სასამართლოს 99.99%-იანი გამამტყუნებელი განაჩენი არასდროს ჰქონია სტატისტიკაში.

ვინ არის ექიმი ქალი, რომელმაც მოსამართლე სასიკვდილოდ გაიმეტა

აჭარაში მომხდარი უცნაური დანაშაულის დეტალები

1982 წელი... აჭარის რეგიონში მოსამართლეს თავს დაესხნენ და სასტიკად გაუსწორდნენ. პრინციპში, სასტიკ გასწორებას ისე ნუ გაიგებთ, თითქოს, მას დიდი ხნის განმავლობაში სცემდნენ. არა, მოსამართლეს უკნიდან ვიღაც მიეპარა და თავში მძიმე, ბლაგვი საგანი ჩაარტყა, რის შემდეგაც მან გონება და ბევრი სისხლი დაკარგა, ექიმები კი გადარჩენის გარანტიას ვერ იძლეოდნენ. მოსამართლეზე თავდასხმა ძალიან იშვიათი იყო და რაღა თქმა უნდა, საქმე პირად კონტროლზე თბილისმა აიყვანა. მეტიც, აჭარაში დედაქალაქიდან სამი გამოცდილი გამომძიებელი გაუშვეს, რომელთაც უნდა დაედგინათ, რა და როგორ მოხდა და დამნაშავე სამაგალითოდ დაესაჯათ. ადგილზე ჩასულ გამომძიებლებს მთავარი ეჭვმიტანილი დაკავებული დახვდათ.

„სანამ მოსამართლეზე თავდასხმა მოხდებოდა, ორი კვირით ადრე, მას სასამართლო პროცესი ჰქონდა, სადაც ერთ-ერთი მხარე გაამტყუნა. დაზარალებულები ცოლ-ქმარი გახლდნენ, ქმარმა თავი ვერ შეიკავა და პირდაპირ სასამართლოს დარბაზში იყვირა, რომ მოსამართლეს არ აცოცხლებდა. ვვარაუდობთ, რომ მან მუქარა აასრულა და რაც მთავარია, როცა მოსამართლეზე თავდასხმა მოხდა, მამაკაცს ალიბი არ ჰქონდა“, – ეწერა აჭარელი სამართალდამცავების პატაკში.

ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან მარტივი იყო, მაგრამ როგორც კი თბილისიდან ჩასულმა გამომძიებლებმა დეტალების გარკვევა დაიწყეს, მიხვდნენ, რომ აჭარელი კოლეგები მარტივი გზით წავიდნენ. პირველ რიგში, მათ არ გაითვალისწინეს ექსპერტის დასკვნა, რომელიც წერდა, რომ თავდამსხმელი დაბალი, მაგრამ ძლიერი იყო, დაკავებული მამაკაცი კი მაღალი. ის ფაქტი, რომ მთავარ ეჭვმიტანილს ალიბი ჰქონდა საეჭვო გამოდგა, რადგან მისი ცოლი და შვილი ადასტურებდნენ სახლში ყოფნას და რაც მთავარია, მეზობელი ამბობდა, რომ სწორედ იმ დროს, როცა მოსამართლეს თავს დაესხნენ, ეჭვმიტანილთან ბრტყელტუჩას სათხოვნელად შევიდა და ნივთი სწორედ დაკავებულმა მიაწოდა. ეს კი ალიბის არათუ ამყარებდა, არამედ უტყუარს ხდიდა და მერე რა, რომ ერთ-ერთი მთავარი მოწმე კარის მეზობელი იყო. გამომძიებლებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ მოსამართლე აზრზე მოვიდოდა და თავდამსხმელზე რამეს იტყოდა, თუმცა დანაშაულის უმოკლეს ვადებში გახსნა ღირსების საქმე იყო... მუნდირის ღირსების,

„თქვენ ყველაფერი არ იცით. ჩემმა 11 წლის შვილმა სკოლაში გონება დაკარგა. თავიდან გვეგონა, რომ გადაღლის ბრალი იყო, მაგრამ იგივე ორი დღის შემდეგაც განმეორდა და მაშინვე საავადმყოფოში გავაქანეთ. ადგილობრივმა ექიმმა ყველა სახის ანალიზი ჩაგვატარებინა, მერე გვითხრა, რომ ჩვენს გოგონას უკურნებელი სენი სჭირდა, უფრო კონკრეტულად კი, თირკმელები გადაგვარებას იწყებდნენ და სასწრაფოდ მკურნალობის დაწყება იყო საჭირო. რა უნდა გვექნა? დავთანხმდით და სამთვიანი მკურნალობის შემდეგ, ჩვენი შვილი ეტლში ჩაჯდა, სიარული აღარ შეეძლო. დედაქალაქში წამოვედით და ბავშვი ახლიდან გავასინჯეთ ექიმებს. მათ გვითხრეს, რომ დიაგნოზი არასწორად იყო დასმული და არასწორმა მკურნალობამ კუნთების ატროფია გამოიწვია, სწორედ ამიტომ ვეღარ დადიოდა ბავშვი. თბილისში ახალი მკურნალობა დაგვინიშნეს და მან შედეგი გამოიღო, თუმცა შესაძლოა, მკურნალობა წლების მანძილზე გაგრძელდეს. ყველაზე ცოტა, ორი წელი სჭირდება ჩვენს გოგონას იმისთვის, რომ ეტლიდან ადგეს და დამოუკიდებლად გადაადგილება შეძლოს, სრულად განკურნებისთვის კი – ხუთი-ექვსი წელი. ამიტომ, ექიმის წინააღმდეგ საჩივარი შევიტანეთ და როგორ გგონიათ, რა ხასიათზე დავდგებოდი, როცა მოსამართლემ გამოაცხადა, რომ დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავდა და ექიმი უბრალოდ გაამართლა. მაშინ, გამწარებულ გულზე ვუთხარი ის, რაც ვუთხარი და მერე, როცა მოსამართლე ვიღაცამ სასიკვდილოდ გაიმეტა, მე დამიჭირეს. გული მწყდება, რომ არ მოკვდა, მაგრამ ეგებ, კარგიც იყოს, ასე უფრო მეტს იწვალებს. გარდა იმისა, რომ ალიბი მაქვს, მე ცხოვრებაში ქათამიც არ დამიკლავს, როგორც არ უნდა გავბრაზებულიყავი, ვერ მოვკლავდი, ვერ შევძლებდი“, – განაცხადა დაკავებულმა.

თბილისიდან ჩასული გამომძიებლები კარგად ხვდებოდნენ, რომ ადგილობრივები მცდარ კვალზე იდგნენ და თანაც არ სურდათ ჩასულ გამომძიებლებს იმაზე მეტი ექექათ, ვიდრე უკვე გაიგეს. დაზარალებულ მოსამართლეზე კარგი ხმები არ დადიოდა და ეს არ იყო პირველი ხმაურიანი საქმე, რომლის გამოც იმ კონკრეტულ მოსამართლეზე ამბობდნენ, რომ ქრთამი უყვარდა. ახლა, ის იყო საინტერესო, იმ ექიმს თუ ჰქონდა იმდენი ფული, მოსამართლესთვის გადაეხადა და მისთვის სასურველი განაჩენი დამდგარიყო. სხვა შემთხვევაში, ექიმის ლიცენზიის დაკარგვა და უმუშევრად დარჩენა გარანტირებული გახლდათ.

„როგორ ვცხოვრობ, თავადაც ხედავთ, თანხა არ გადამიხდია. რატომ გამოიტანა მოსამართლემ ის განაჩენი, როგორიც გამოიტანა, თავად გაარკიეთ. მე პროცესებს ვესწრებოდი, გამოძიებას ჩვენება მივეცი, არ დავმალულვარ და ვერც მოსამართლის გადაწყვეტილებაში მივიღებდი მონაწილეობას“, – თქვა დაკითხვაზე ექიმმა.

ექიმი, რომლის გამოც ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, მომცრო ტანის, მაგრამ ძალიან ლამაზი გოგო იყო. პრინციპში, რაღა გოგო, 29 წლის ქალი გახლდათ და როგორც ამბობდნენ, მან მთელი ცხოვრება სწავლას მიუძღვნა, ძალიან კარგი რეპუტაცია და მცოდნე ექიმის სახელი ჰქონდა, ამიტომ მისი შეცდომა ყველას უკვირდა. გამომძიებლები იმ განაჩენებსაც ჩაუსხდნენ, რომლებიც მოსამართლეს ჰქონდა გამოტანილი და ეძებდნენ, ხომ არ გათავისუფლდა ბოლო დროს ვინმე ისეთი, ვინც მან გისოსებს მიღმა, საეჭვო განაჩენით გაუშვა. ასეთი პიროვნება ნახეს, მამაკაცი უდანაშაულობას ამტკიცებდა, თუმცა თავისი ვერ გაიტანა და არცთუ მყარი მტკიცებულებების ფონზე, მოსამართლემ ხუთი წლით ჩასვა. მამაკაცი ციხიდან ორი კვირის გამოსული იყო და როცა მას შინ მიაკითხეს, შვებით ამოისუნთქეს – ის დაბალი და ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო. ექსპერტის დასკვნა ყველას ახსოვდა, ამიტომ მამაკაცს ულაპარაკოდ დაადეს ბორკილები და დასაკითხად განყოფილებაში გადაიყვანეს.

„მოსამართლეს სიამოვნებით მოვკლავდი, მაგრამ ციხეში დაბრუნება აღარ მინდა. ამიტომ, გამოვედი და ეს ამბავი დავივიწყე. რაც შეეხება ალიბის, მერწმუნეთ, რკინის ალიბი მაქვს. მაგ დღეს ცოტა უქეიფოდ ვიყავი, საავადმყოფოში წავედი, იქ გრძნობა დავკარგე და მთელი ღამე გადასხმებს მიკეთებდნენ. ამის მოწმე რამდენიმე ექთანი, ღამის მორიგე ექიმი და რაც მთავარია, ოთხი ადამიანია, რომლებიც ჩემთან ერთად, პალატაში იყვნენ“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა და გამომძიებლებიც გაწბილდნენ.

ძიება თითქოს ჩიხში შევიდა. თბილისელ მაძებრებს ცალკე ოთახი კი გამოუყვეს, მაგრამ განყოფილება იმდენად პატარა იყო და იმდენად თხელი კედლები ჰქონდა, ყველას ყველაფერი ესმოდა. ჰოდა, სწორედ კედლის მეორე მხრიდან გაიგონეს დედაქალაქელმა გამომძიებლებმა, როგორ კიოდა ერთი ქალი, მომაშორეთ ლოთი მეზობელი, მთელი ღამე არ მაძინებს, ყვირის და ღრიალებს, ზუსტად ისე, როგორც ის თქვენი მოსამართლე დაჰყვიროდა თავზე ექიმსო. ეს რაღაც ახალი და ცოტა უცნაური იყო. მოსული ქალბატონი გამომძიებლებმა ოთახში მიიპატიჟეს.

„ლოთი მეზობელი მყავს, ყოველ საღამოს ბოლო ხმაზე ყვირის, ხან ვის ეჩხუბება და ხან ვის. ზუსტად ასე იყო, როცა მოსამართლე დადიოდა და ჩემს მეზობელ ექიმს ეჩხუბებოდა. სწორედ იმ ექიმს, ბავშვს შეცდომით დიაგნოზი რომ დაუსვა. არ მჯერა მე მაგ შეცდომის, მთელ სამეზობლოს ის გოგო გვშველის, არასდროს შემცდარა“, – ქაქანებდა ქალი.

გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. ექიმი დაბალი იყო, მაგრამ ხელები აშკარად ნავარჯიშები ჰქონდა და ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ მოსამართლე სწორედ მას დაეზიანებინა, მაგრამ მოტივი? მოტივის გარეშე, ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენა გამორიცხულია. ექიმი განყოფილებაში არ დაიბარეს, მასთან სახლში მივიდნენ, მშვიდად მოეწყვნენ და ასევე ძალიან მშვიდად უთხრეს – გისმენთ! მან თვალი მოავლო გამომძიებლებს, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა და ძალიან, ძალიან ჩუმად დაიწყო:

„როცა დაზარალებულებმა საჩივარი შეიტანეს და საქმე სასამართლომდე მივიდა, მოსამართლე შინ მომადგა, პირდაპირ მითხრა, ლიცენზიას და სამსახურს სამუდამოდ დაემშვიდობეო. არადა, ექიმობა მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი და აზრია. მივხვდი, რაღაც უნდოდა და პირდაპირ ვუთხარი, ფული არ მაქვს, ვერაფერს მოგცემ-მეთქი. იმან კიდევ, ფული არ მინდა, შენთან ყოფნა მინდაო. ვიუარე, სახლიდან გავაგდე, მერე კი... მერე ისევ მოვიდა, დამემუქრა, ნახავ, რას გიზამო და... სანამ სასამართლო დასრულდებოდა, ყოველდღე მოდიოდა, მართლა ყოველდღე. ვფიქრობდი, სასამართლოს დასრულების შემდეგ შემეშვება-მეთქი და ისევ რომ მოვიდა, ვიუარე, ვუყვირე, იმან კიდევ, საგამოძიებოში ნაცნობები მყავს, ოჯახს ახალი გარემოებების გამო, ისევ დავაწერინებ საჩივარს, ვერ გადამირჩებიო. მივხვდი, როგორმე უნდა მომეშორებინა თავიდან და მხოლოდ ეს მოვიფიქრე. მოკვლა მინდოდა, რკინის ნაჭერი ორი ხელით, მთელი ძალით ჩავარტყი. ექიმი ვარ და რომ დაეცა, ჭრილობას დავხედე, დავრწმუნდი, რომ ვერ გადარჩებოდა და ეს საექიმო პრაქტიკაში, ჩემი მეორე შეცდომა იყო – გადარჩა“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

საქმემ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ დამნაშავის დასჯა აუცილებელი გახლდათ, მაგრამ თან მოსამართლის მანტია იბღალებოდა, ამიტომ ქალს ერთი წელი – რეალური და ორი – პირობითი მისცეს. მოსამართლე გადარჩა, თუმცა „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“, სასამართლო პრაქტიკას ჩამოსცილდა, ციხიდან გამოსული ქალი კი სანიტრად მუშაობდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საზღვარგარეთ წავიდა და ექიმად მუშაობა გერმანიაში დაიწყო, სადაც დღემდე მუშაობს და... ის არასდროს გათხოვილა.

პოლიციამ გორში მომხდარი ეკლესიის გაქურდვის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მ.გ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გორში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია გაქურდა, საიდანაც უკანონოდ დაეუფლა ფულს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავეს. დაკავებულმა მის მიერ, ჩადენილი კიდევ ოთხი ეკლესიის გაქურდვის ფაქტი აღიარა, საიდანაც უკანონოდ დაეუფლა ფულს და წმინდა გიორგის გამოსახულების მედალიონს. პოლიციამ ეკლესიებიდან მოპარული თანხის ნაწილი, ასევე, წმინდა გიორგის გამოსახულების მედალიონი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევის გზით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი სახალხო დამცველს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, სახალხო დამცველ ლევან იოსელიანთან გაცნობითი შეხვდა გამართა. გაცნობით შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა ლევან იოსელიანს სახალხო დამცველის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა. შეხვედრაზე ყურადღება შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის სპეციფიკასა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე გამახვილდა. ასევე, საუბარი შეეხო სახალხო დამცველის აპარატის მანდატსა და ორი ინსტიტუციის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და თანამშრომლობის ფორმატისა და კოორდინაციის მექანიზმების ჩამოყალიბების შესახებ იმსჯელეს.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებების და მათი უსაფრთხოების დაცვა სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და ამ კუთხით მუდმივად ხდება თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება.

გაიმართა მსჯელობა არასამთავრობო სექტორთან შემდგომი თანამშრომლობის ფორმატზე.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა უწყებებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და სამომავლო გეგმები დასახეს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია 15 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 15 პირია დაკავებული. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს და ამავე მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა გ.გ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხმის ჩამხშობი მაყუჩი, მჭიდი და 23 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული მ.კ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ მ.კ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 16 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1964 წელს დაბადებული კ.ბ. დააკავეს, რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 35 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 2004 წელს დაბადებული ა.მ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ა.-ს ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 30 ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს, ყვარლისა და გურჯაანის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი დააკავეს. 1993 წელს დაბადებული ნ.ს.-ს საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 4 ხელყუმბარა და 5 ამფეთქი ფალია. 1991 წელს დაბადებული ვ.ო.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო 1967 წელს დაბადებული გ.ნ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პოლიციამ გადაჭრილი სანადირო თოფი და 5 ვაზნა ამოიღო.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, ცაგერის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონული სამმართველოებისა და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი დაკავეს. 1979 დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, ნ.ო.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია გადაჭრილი თოფი. 1957 წელს დაბადებული თ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პოლიციამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდი, 200 საბრძოლო ვაზნა და ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღო. 1979 წელს დაბადებული მ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია – გადაჭრილი სანადირო თოფი, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 40 ვაზნა. ხოლო, 1983 წელს დაბადებული კ.უ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცავების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია მაუზერისა და მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტები, 2 მჭიდი, 5 ვაზნა და 5 კაფსულ-დეტონატორი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი – 1963 წელს დაბადებული მ.კ., 1982 წელს დაბადებული მ.ც. და 1969 წელს დაბადებული გ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, ავტომანქანის და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, 3 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 3 მჭიდი, 2 შაშხანა, ტყვიამფრქვევი და 93 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით მიმდინარეობს.

მამარდაშვილის „ვალენსიური“ კარიერა დასრულდა – ქართველი ტრანსფერგეა

თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ წლევანდელ სეზონში „ვალენსია“ უძლიერესთა შორის, პირადად გიორგი მამარდაშვილმა დატოვა. ქართველმა კიპერმა მიმდინარე სეზონში აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში დაიცვა „ღამურების“ კარი და რამდენჯერმე ის მნიშვნელოვანი ქულები მოუტანა გუნდს, რა ქულებითაც ვალენსიელები დაქვეითებას გადარჩნენ.

ჰოდა, იმის გათვალისწინებით, რომ „ვალენსია“ ვალებში იხრჩობა, მამარდაშვილს კი კარგი სეზონი ჰქონდა, გადაწყვეტილი ამბავია – გუნდი ქართველ კიპერს სარფიანად გაყიდის. რაც მთავარია, გიორგის მსურველები არ აკლია და მის მიმართ დაინტერესებას პრემიერ-ლიგური კლუბები გამოთქვამენ. ჩვენთვის სიაში ნომერ პირველი „ტოტენჰემია“ და ახლავე გეტყვით, რატომ. „მამლების ფრანგი მეკარე და კაპიტანი, უგო ლორისი გუნდიდან მიდის, ის ასაკშია და გასულ სეზონშიც ძალიან არადამაჯერებელი იყო. ამიტომ, ლონდონელები ძირითად მეკარეს ეძებენ და „ტოტენჰემის“ კარში პირველი ნომრის სტატუსი მართლაც კარგი იქნება. მამარდაშვილის შეძენა სურს კიდევ ერთ ლონდონურ კლუბს – „ჩელსის“ ახალ თავკაცს, მაურიციო პოჩეტინოს, რომელსაც კლუბის ორი მეკარე არ მოსწონს და ფიქრობს, მესამე ანუ მამარდაშვილი დაიმატოს. შემდეგ კი გადაწყვეტს, ვინ იქნება ძირითადი კიპერი. „ჩელსი“ ურიგო ვარიანტი არაა, მაგრამ მეორე ნომრობა მამარდასთვის ძალიან ცუდი იქნება.

ქართველი მეკარის მიმართ ინტერესი აქვს „ასტონ ვილას“, „ნიუკასლს“, „ვულვზს“... იმასაც ამბობენ, შესაძლოა, მამარდამ ესპანეთი არ დატოვოს და კარიერა „ვილიარეალში“, ან „ატლეტიკოში“ გააგრძელოსო. ქართველი კიპერი თვალში „სევილიასაც“ მოუვიდა, მაგრამ ეს გუნდი „ვალენსიას“ უპირველეს მოსისხლედ ითვლება და გამორიცხულია, მამარდაშვილი მტრის ბანაკში გაუშვან.

გახსნილი კარტი – რატომ თქვა უარი „აიაქსმა“ კვარაცხელიაზე

ამსტერდამის „აიაქსის“ ლეგენდარული ვეტერანი ფეხბურთელი, „მისტერ აიაქსად“ წოდებული შაკ სვარტი გაცოფებულია. მან საკუთარი სიბრაზის მიზეზების შესახებ სატელევიზიო ეთერში ისაუბრა და... ხვიჩა კვარაცხელია ახსენა.

„ადრე სხვანაირად იყო – მე „აიაქსს“ ვთავაზობდი ფეხბურთელებს, ისინი იძენდნენ და შემდეგ ვარსკვლავები ხდებოდნენ. არასდროს, არასდროს არ შევმცდარვარ, მაგრამ ბოლო წლებში, ჩემი აზრების უგულებელყოფა დაიწყეს, აღარ მისმენენ. თავის დროზე, ბოლო ხმაზე ვყვიროდი, რომ ამსტერდამელებს რუუდ ვან ნისტელროი უნდა ეყიდათ, არ მომისმინეს. მერე იგივე კევინ დე ბრუინზე ვთქვი და ისევ არ მომისმინეს, მერე იყო ფრენკ დე იონგი, რომელიც დაიწუნეს და მერე მაინც იყიდეს. სულ ბოლოს იყო ხვიჩა კვარაცხელია, რომლის თამაში „რუბინში“ ვნახე და მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე. ვემუდარებოდი „აიაქსის“ ბოსებს, კვარაცხელია იყიდეთ-მეთქი, თუმცა ისევ უარი მივიღე და ახლა ხომ ხედავთ, რას აკეთებს ბიჭი, რომელსაც მაშინ არავინ იცნობდა“, – განაცხადა სვარტმა.

სხვათა შორის, როცა სვარტი „აიაქსის“ ბოსებს კვარაცხელიას შეძენას აძალებდა, ზუსტად იმ პერიოდში, ამსტერდამული კლუბის მესვეურები შოთა არველაძესაც დაეკითხნენ აზრს და რაღა თქმა უნდა, ქართველმა ვეტერანმა ჰოლანდიურ გრანდს ურჩია, ეგ ბიჭი იყიდეთ, არ ინანებთო, მაგრამ მაშინ „რუბინმა“ 20 მილიონი მოითხოვა, რაც „აიაქსს“ ეძვირა. ახლა კი, „ნაპოლი“ კვარაცხელიას 80 მილიონად არ თმობს.

„რეალს“ ბენზემას შემცვლელად კეინი მიჰყავს

ქარიმ ბენზემას მადრიდული კარიერა დასრულდა. ვეტერანი ფრანგი ფორვარდი კარიერას საუდის არაბეთში გააგრძელებს, ბურთს კიდევ ორი წლის განმავლობაში გააგორებს და თითო სეზონში 100 მილიონს მიიღებს. „რეალი“ კი მისი შემცვლელის ძიებაშია და უდიდესი ალბათობით, „სამეფო გუნდი“, ფრანგის ნაცვლად, ჰარი კეინს აიყვანს. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფორვარდი, 23 ივლისს 30 წლის ხდება ანუ ახალგაზრდა არც ის არის, მაგრამ აგერ, უკვე მერამდენე წელია, სტაბილურად თამაშობს და გოლებიც ხშირად გააქვს. საგულისხმოა, რომ კეინი 11 წლის იყო, როცა „ტოტენჰემის“ აკადემიაში მივიდა და ამ კლუბის გარდა, სხვაგან არ უთამაშია. უფრო ზუსტად, ის ახალგაზრდულ ასაკში, რამდენიმე კლუბში გაანათხოვრეს, მაგრამ საბოლოოდ, მუდმივად „მამლების“ რიგებს უბრუნდებოდა და ამ გუნდის სიმბოლოდაც ითვლება. ცნობისთვის, „ტოტენჰემის“ მაისურით, ყველა ტურნირზე, კეინმა დღემდე 435 მატჩი გამართა, 280 გოლი გაიტანა და 64 საგოლე გადაცემა შეასრულა.

რადგან „რეალზე“ ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ მადრიდელებმა ერთი ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურეს და დორტმუნდის „ბორუსიასგან“ 19 წლის ნახევარმცველი ჯუდ ბელინგემი, 103 მილიონ დოლარად იყიდეს. ამ 103 მილიონის გარდა, მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, ბონუსების სახით, „ბორუსია“ დამატებით 30 მილიონს მიიღებს. არადა, როცა 2020 წელს, გერმანულმა კლუბმა, ინგლისური „ბირმინგემიდან“, 25 მილიონად 16 წლის ბელინგემი იყიდა, ბევრს გაეცინა და ჩათვალა, რომ ეს დიდი რისკი და წყალში გადაყრილი ფული იყო. სამ სეზონში ჯუდმა „ბორუსიას“ მაისურით 132 მატჩი გამართა, მეტოქეთა კარი 24-ჯერ აიღო, თანაგუნდელებს კი საგოლედ 25-ჯერ უპასა.

სპალეტის მანქანის საჭე დაუბრუნეს

შუა სეზონში, ახლა უკვე იტალიის ჩემპიონის, „ნაპოლის“ მწვრთნელს, ლუჩანო სპალეტის კლუბის გულშემატკივრებმა ავტომობილი „ფიატ პანდა“ მოპარეს. ჰო, სწორედ რომ გულშემატკივრებმა, რადგან სინიორ ლუჩანოს, მანქანის დაკარგვიდან ნახევარ საათში, შეტყობინება მიუვიდა, სადაც წერდნენ, რომ ის საკუთარ მანქანას იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებდა. რა თქმა უნდა, სპალეტიმ მათი შეთავაზება არ მიიღო და კლუბის გაძღოლა გააგრძელა, რამაც საბოლოოდ „ნაპოლი“ ჩემპიონობამდე მიიყვანა. ახლა კი, ის გუნდს დაემშვიდობა და ახალი სამუშაოს ძებნაშია. გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე, სპალეტიმ ღიმილით თქვა, ხომ ვტოვებ თანამდებობას, იქნებ, ჩემი მანქანა ახლა მაინც დამიბრუნოთო. ამ დროს, პრესკონფერენციის დარბაზში, სამი ახალგაზრდა შევიდა, ორმელთაც სახეზე პირბადე ჰქონდათ აფარებული და სპალეტის ყუთით რაღაც გადასცეს.

მწვრთნელმა მუყაოს ყუთი ფრთხილად გახსნა და იქიდან... „ფიატ პანდას“ საჭე ამოიღო ანუ მთლიანი ავტომობილის ნაცვლად, მხოლოდ საჭე ერგო. სპალეტი ამ ამბავმა ძალიან გაამხიარულა, ბევრი იცინა და ამანათის მომტანებსაც გულთბილად გადაეხვია.

მესიმ მილიარდზე უარი თქვა და ამერიკაში მიდის

გადაწყვეტილი ამბავია – ლიონელ მესი კარიერას ამერიკულ „ინტერ მაიამიში“ გააგრძელებს, კლუბში, რომლის მფლობელიც დევიდ ბექჰემი გახლავთ. ერთი შეხედვით, ძალიან უცნაურია ის ამბავი, რომ ლეომ არაბული კლუბის შეთავაზება და ორ წელიწადში 1.2 მილიარდი დოლარის მიღების შანსი ხელიდან გაუშვა, კატეგორიული უარი განაცხადა და წავიდა გუნდში, რომელიც ამერიკულ ლიგაში, 15 ტურის შემდეგ, ბოლო ადგილზეა და ჩემპიონობის არანაირი შანსი არ აქვს. გამოდის, რომ ლეომ აირჩია გუნდი, რომელსაც რეალურად არაფრის შანსი არ აქვს, რაც ჩემპიონობასა თუ ოქროს მედლებს მიჩვეული მესისთვის ცოტა უცნაური გადაწყვეტილებაა, თანაც იმის ფონზე, რომ მომდევნო ორ წელიწადში, მას მილიარდზე მეტის გამომუშავება შეეძლო.

„ჩემი ევროპული კარიერა დასრულდა. „ბარსელონაში“ დაბრუნების შანსი? ეს შანსი სულ არსებობდა და სულ იარსებებს, რადგან „ბარსელონა“ ჩემი სახლია, მაგრამ ახლა ამერიკაში მივდივარ“, – განაცხადა ლეომ.

ყველაფერი მას შემდეგ დალაგდა, რაც მესის კონტრაქტის დეტალები გაირკვა. „ინტერ მაიამის“ გენერალური სპონსორები – Apple და Adidas-ი არიან. შესაბამისად, ამ კომპანიებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი ლეოს ანგარიშზე დაირიცხება. აგრეთვე, მის ანგარიშზე დაირიცხება ბილეთების გაყიდვიდან შემოსული ფული. თავად განსაჯეთ, როცა იტალიური „ნაპოლი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტრისმა ბილეთის ფასი 400 ევრომდე გაზარდა, რასაც სერიოზული პროტესტი მოჰყვა. მესის დებიუტი „ინტერ მაიამიში“ 21 ივლისს შედგება და მატჩზე დასასწრები ბილეთი... 9 ათასი დოლარი ღირს, რასაც არავინ აპროტესტებს. ყველაფერთან ერთად, კარიერის დასრულების შემდეგ, არგენტინელს კლუბის აქციების შეძენის უფლება ექნება. მესის არაერთხელ უთქვამს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ამერიკაში ცხოვრებას აპირებს და ბიზნესისთვის კარგ საფუძველსაც იქმნის.

პარადოქსი – ერთ წონაში მსოფლიოს ორი ჩემპიონი

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ რუსებს კოჭი გაუგორა. არც თუ დიდი ხნის წინ, ძიუდოისტთა შორის, დოჰაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველებისთვის ტრიუმფით დასრულდა. ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ქართველთათვის აშკარად კარგი მონაგარი იყო. მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ლეგენდარული ტედი რინერი გახდა, რომელმაც ფინალში ნეიტრალური სპორტსმენის სტატუსით მოასპარეზე ინალ ტასოევს მოუგო. მოგეხსენებათ, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ რუს ძიუდოისტებს ნეიტრალური სტატუსით ტურნირებში მონაწილეობის უფლება ჰქონდეთ. მოკლედ, რინერი-ტასოევის შეხვედრის დროს იყო მომენტი, როცა რუსმა ძიუდოისტმა სახელოვან მეტოქეს მომგებიანი გდება გაუკეთა, მაგრამ მსაჯებმა არ შეაფასეს და შემდეგ უკვე რინერმა იმარჯვა. აღნიშნული ილეთი განხილვის საგანი გახდა და საბოლოო ჯამში, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტასოევმა მომგებიანი გდება გააკეთა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რინერისთვის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული უნდა ჩამოერთმიათ, მაგრამ არც ეს გამოდიოდა და... +100 კილოგრამში, დოჰას მსოფლიო პირველობაზე მსოფლიოს ორი ჩემპიონი გვყავს – ინალ ტასოევი და ტედი რინერი. ბარემ ისიც გავიხსენოთ, როცა გურამ თუშიშვილმა მოუგო ტედი რინერს, განხილვის შემდეგ, ჩვენებურს ის მოგება უბრალოდ გაუუქმეს, აქაოდა, ილეთი მომგებიანი არ იყოო.

ადამიანებო, გეხვეწებით, მზე შეიყვარეთ!

ანა ჭანტურიძე



მე ანო ვარ, ჭანტურიძე, 8 წლის. მინდა, ჩემს ოჯახზე, უფრო სწორად, ჩემს დაიკოზე გიამბოთ. ნინიკო 6 წლისაა, პირველ კლასში სწავლობს...

ნინიკოს ულამაზესი ზღვისფერი თვალები აქვს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი დაა. არა, მართლა ლამაზი თვალები აქვს... ზოგჯერ, სკვერში რომ ვსეირნობთ, ან ქუჩაში მივდივართ, ხალხი გვაჩერებს და ნინიკოს ეფერება.

საერთოდ, ნინოს მოფერება ძალიან უყვარს და, ჩემგან განსხვავებით, იშვიათად ბრაზდება. ხანდახან მეც მაბრაზებს. აი, მაგალითად, ნერვები ამას წინათაც მომიშალა – გინდა თუ არა, შენი მოლაპარაკე თოჯინა ანნა მათხოვეო. არადა, დეიდაჩემმა საახალწლოდ, ნამდვილი მაშა აჩუქა. ვეუბნები, ანნა ჩემია, მაშა კი, – შენი-მეთქი, მაგრამ მაინცდამაინც ჩემი ანნათი უნდოდა თამაში.

ჰოდა, ნერვები ისე მომიშალა, რომ ჩემს ოთახში შევიკეტე. ნინო კართან იდგა და მესმოდა, როგორ მეხვეწებოდა, კარი გამეხსნა და ოთახში შემომეშვა, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი და მის სლუკუნს ყურადღებას არ ვაქცევდი...

ასეთ დროს დედა ამბობს ხოლმე, ანო ჯიუტია, ხომ შეიძლება, ბავშვს დაუთმოსო.

ალბათ, თქვენც გამკიცხავთ, თუ გეტყვით, რომ ნინიკო შშმ პირია – დაუნის სინდრომი აქვს, მაგრამ როცა ნინიკოზე ამბობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობისაა, ძალიან, ძალიან ვბრაზდები, რადგან ის ჩვეულებრივი ბავშვია, ისეთივე ბავშვი, როგორიც – მე. უბრალოდ, ჩემგან ოდნავ განსხვავდება და იცით, რით? – უფრო მოსიყვარულეა...

ერთხელ, ვანიჩკამ მკითხა, ნინოს გამო დედა არ გეცოდებაო? მეწყინა და კინაღამ მივახალე, დედა კი არა, შენ მეცოდები-მეთქი, მაგრამ ზრდილობიანად ვუპასუხე, დედას შესაცოდი არაფერი სჭირს-მეთქი. ვანიჩკა ჩემი ნათლიაა, ჟურნალისტი. რომ ჰკითხოთ, ადამიანის უფლებებს იცავს, მაგრამ ნეტავ, რატომ ფიქრობს, რომ ნინიკოს გამო, დედა, მამა და მე ვინმეს უნდა ვეცოდებოდეთ?

ისე, ადრე, პოლონეთში რომ ვსწავლობდი, თანაკლასელები ნინიკოს გამო დამცინოდნენ ხოლმე, მაგრამ რაც საქართველოში გადმოვედით, ასეთი დამოკიდებულება არავისგან მიგრძვნია. პირიქით, ნინო ჩემს ყველა მეგობარსა და თანაკლასელს უყვარს, ან როგორ შეიძლება, ნინიკო და მისნაირი ბავშვები არ გიყვარდეს? – ისინი ხომ მზის შვილები არიან!

ხანდახან მგონია, რომ მხოლოდ ერთი კი არა, უამრავი და-ძმა მყავს. ასეთი განწყობა განსაკუთრებით მაშინ მეუფლება, როცა დედიკოს სამსახურში მივდივარ.

დედიკომ საქართველოში ნინიკოსნაირი ბავშვებისთვის დღის ცენტრი გააკეთა, რომელსაც „მზის სივრცე“ ჰქვია. იქ, ყოველ დღე, ათობით ბავშვი მოდის და, როგორც უფროსები ამბობენ, რეაბილიტაციას გადის. ზუსტად არ ვიცი, რეაბილიტაცია რას ნიშნავს, მაგრამ ეს სიტყვა არ მომწონს – მკურნალობასა და ავადმყოფობას მაგონებს.

არადა, მინდა, მთელ დედამიწას გავაგებინო, რომ ამ ბავშვებს მკურნალობა კი არა, სიყვარულისა და სითბოს მეტი არაფერი სჭირდებათ!

ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, ფეხის ყველა ნაბიჯზე შშმ პირების უფლებებს არღვევენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც „მზის სივრცე“ აღმოჩნდა. ზუსტად არ ვიცი, რა და როგორ მოხდა, მაგრამ დედა ძალიან განერვიულებული იყო. მეგონა, მე ან ნინიკომ გავაბრაზეთ და ბოდიშის მოხდა დავაპირე, მაგრამ დედამ მითხრა, შენ კი არა, დიდმა ადამიანებმა გამაბრაზესო. რა მოხდა-მეთქი, – აღარ მოვეშვი და მიამბო, რომ „მზის სივრცე“ იმ შენობიდან გამოაგდეს, სადაც მუშაობდა – თურმე, უფროსებს, რომლებიც იმ შენობაში მუშაობდნენ, ნინიკოსა და სხვა ბავშვების დანახვა არ სიამოვნებდათ. ამ ამბავს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა – დედა ტელევიზორშიც აჩვენეს...

გაიძახიან, შეზღუდული შესაძლებლობები, შეზღუდული შესაძლებლობებიო, მაგრამ ამ ბავშვებთან ძალიან კარგად ვერთობი და არც ურთიერთობის პრობლემა მაქვს. ჰოდა, მიკვირს, უფროსებს რა დაემართათ, რომ ხაზს ამ ბავშვების შეზღუდულ შესაძლებლობებს უსვამენ?

დავიჯერო, არასოდეს გაუგიათ, რომ მთავარია, ადამიანმა მოინდომოს და შეუძლებელი არაფერია?!

ერთი ოცნება მაქვს: მალე დიდი გავიზარდო და ყველას, აბსოლუტურად ყველას გავაგებინო, რომ ნინიკო საცოდავი არ არის!

ადამიანებო, დამიჯერეთ, ნინო და მისი მეგობრები შეზღუდული კი არა, განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონენი არიან!

აი, ახლა გამახსენდა: ერთი გოგოა, გვანცა, რომელსაც, ნინიკოსი არ იყოს, დაუნის სინდრომი აქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ იცეკვოს.

სხვათა შორის, ახლახან, ნინიკო და მისი მეგობრები პოდიუმზეც გამოვიდნენ – მოდების ჩვენება მოაწყვეს.

იცით, ჩემი საყვარელი ტელეწამყვანი ვინ არის? – აი, „რუსთავი 2“-ის გიგო, უმაგრესი ბიჭია! მსახიობებიდან კი ყველაზე მეტად პიოტრ სვენდა მიყვარს. პიოტრი პოლონელი მსახიობია და ერთ-ერთი პოლონური სერიალის ვარსკვლავია...

ისე, რატომღაც მგონია, ნინიკოც, დიდი რომ გაიზრდება, მსახიობი გამოვა და მთელი მსოფლიო გაიცნობს! სხვათა შორის, ნინიკო მარჯანიშვილის თეატრში, სპექტაკლ „ფირმოსმანში“ თამაშობს...

ხანდახან სევდა მიპყრობს ხოლმე. აი, გუშინაც, მე და მართა რომ ვლაპარაკობდით, უცებ განწყობა გამიფუჭდა. მართა ჩემი მეგობარია. მას ორი და ჰყავს – ოთხი წლის მარიამი და 6 თვის ბარბარე. ბარბარესაც დაუნის სინდრომი აქვს. მართამ მითხრა, მეშინია, ბარბარემ ლაპარაკი რომ ვერ ისწავლოს, რა გვეშველებაო.

მართას დავუყვავე, მთავარია, გვიყვარდეს და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. სხვათა შორის, ლაპარაკი ნინიკოსაც უჭირს, მაგრამ ჩემზე მეტი ლექსი და სიმღერა იცის.

ისე, თავიდან, როცა გავიგე, რომ ნინიკოს დაუნის სინდრომი ჰქონდა, მეც შემეშინდა, მაგრამ მერე, დედიკომ ამიხსნა, რომ საშიში არაფერია, რომ ნინიკოს, უბრალოდ, ერთი ქრომოსომა აქვს მეტი.

ჰო, არ ვიცი, ქრომოსომა რა არის, მაგრამ ვხვდები, რომ ერთი ქრომოსომით მეტი იქნება თუ ნაკლები, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ღმერთს რომ არ სდომებოდა, ნინიკო და მილიონობით ბავშვი არ დავიბადებოდით!

მე და ნინიკო ერთ სკოლაში ვსწავლობთ. სკოლაში დედას მივყავართ. სკოლიდან მარტო მოვდივარ – ნინიკო სწავლას ადრე ამთავრებს და დედა აკითხავს ხოლმე. ჯერ პატარაა, თორემ ცოტა რომ გაიზრდება, დედა აღარც მას მოაკითხავს და... მე და ნინიკო სკოლიდან ერთად წამოვალთ!

ამას წინათ, მე, ნინიკო და დედა სკვერში ვსეირნობდით. ორმა ქალმა ჩაგვიარა, ერთმა ნინიკოს მზერა გამოაყოლა და მეორეს გადაულაპარაკა, შეხედე, შეხედე, ეს ბავშვი დაუნიაო. დედას გაეღიმა, არაფერი უთქვამს. მე კი ისე ჩავილაპარაკე, რომ უცნობებს გაეგოთ, ამხელებმა ისიც არ იციან, რომ დაუნი გვარია. მე და ნინიკო კი ჭანტურიძეები ვართ-მეთქი.

მე ანო ვარ, 8 წლის...

ამქვეყნად ყველაზე ძალიან ჩემი დაიკო, 6 წლის ნინო და მზე მიყვარს იმიტომ, რომ ნინიკო მზის შვილია...

მეც, თქვენც და, საერთოდ, ჩვენ, ყველანი მზის შვილები ვართ!

ადამიანებო, გეხვეწებით, მზე შეიყვარეთ!

ტურისტებს შიშველი ფოტოები აუკრძალეს

კუნძულ ბალიზე ხელისუფლებამ რამდენიმე აკრძალვა აამოქმედა, როგორც ტურისტებისთვის, ასევე, ინდონეზიელებისთვისაც. ახლა ადგილობრივებსაც და უცხოელებსაც ნებას რთავენ, მთებთან ახლოს, მხოლოდ სპეციალური ცერემონიების დროს იყვნენ. ტურისტებს აუკრძალეს წმინდა ხეებზე აძრომა, არტეფაქტებით ვაჭრობა, წმინდა ადგილების ფონზე, მოღიავებული ტანსაცმლით, ან მის გარეშე ფოტოების გადაღება. ამასთან, ქვეყნის სტუმრებს ადგილობრივი უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტების გარეშე მუშაობა ეკრძალებათ და კიდევ... არ შეიძლება, უხეშობა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, როგორც პირადად, ასევე, სოციალურ ქსელშიც. ახალი წესების დამრღვევებს ინდონეზიიდან დეპორტაცია ელით.

მთელი წლის სამყოფი ბურბუშელა მოიგო

ნისლიან ალბიონზე, ბლექფილდში მცხოვრებმა ბენი ტომსონმა, რომელიც სიმინდის ბურბუშელას დიდი მოყვარულია, გაიმარჯვა კონკურსში, რომელიც მსხვილმა ამერიკულმა კომპანიამ Kellogg-მა მოაწყო. ჯილდოდ კი ბრიტანელმა ხრაშუნა ბურბუშელას წლიური მარაგი მიიღო – უზარმაზარი, 2.5-მეტრი სიმაღლის ყუთით, ტომსონს 45 კილოგრამი პროდუქტი სახლში მიართვეს.

რეკორდი მასობრივ კარნახში

საფრანგეთში რეკორდი დაამყარეს მასობრივ კარნახში. ელისეის მინდვრებზე 1 779 მერხი დადგეს და დილის 07.00 საათიდან საღამოს 23.00 საათამდე ტრანსპორტისთვის გზა გადაკეტეს. პირველი კარნახი ერთდროულად 1 397-მა ადამიანმა დაწერა. ჟურნალისტი ოგიუსტენ ტრაპინარი მონაწილეებს ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს ნაწარმოებიდან – „წერილები ჩემი წისქვილიდან“ ნაწყვეტს უკითხავდა.

„ამ ღონისძიების პირველი დანიშნულებაა, სიამოვნების მიღება ერთობლივი მუშაობით – ყოველდღე ხომ არ არის ამის შესაძლებლობა? მეორე მიზანი კი მსოფლიო რეკორდის დამყარებაა კარნახში მონაწილეების რიცხვით“, – განაცხადა „დიდი კარნახის“ ორგანიზატორმა, მარკ-ანტუან ჟამემ. საბოლოო მონაცემებით, სამივე კარნახი, ჯამში, 5 ათასზე მეტმა მონაწილემ დაწერა.

ჰოლივუდური ღიმილის კურსები გახსნეს

ალბათ, უკვე ბევრი მიხვდით, რომ ასეთი კურსები სად, თუ არა, ამომავალი მზის ქვეყანაში გაიხსნებოდა. მას შემდეგ, რაც კორონაპანდემია დასრულდა და ადამიანებმა პირბადის გარეშე დაიწყეს სიარული, იაპონელებმა გადაწყვიტეს, ჰოლივუდურ ღიმილში ივარჯიშონ. სპეციალურ კურსებზე გაკვეთილებს ღიმილის ინსტრუქტორი ატარებს. კომპანიას, რომელიც ასეთ გაკვეთილებს ატარებს, კურსებზე დასწრების მსურველთა რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, ოთხჯერ გაეზარდა. ერთსაათიანი ღიმილის გაკვეთილის ღირებულება, დაახლოებით, 55 დოლარია. კურსებზე დასწრების მსურველები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან. ზოგჯერ დამსაქმებელი კომპანიების ინიციატივაც არის, რომ მის თანამშრომლებს ჰოლივუდური ღიმილის ინსტრუქტაჟი ჩაუტარდეთ, განსაკუთრებით, მარკეტინგის მიმართულებით დასაქმებულები. გაკვეთილებზე ყველა მოსწავლეს ხელში სარკე უჭირავს, რათა საკუთარ ღიმილს დააკვირდეს და სამომავლოდ, უკეთ გამოუვიდეს. ერთ-ერთი ასეთი კურსი ტოკიოში, სოკეის ხელოვნების სკოლაში ტარდება.

პენსიონერმა ლატარეაში ნახევარ მილიარდამდე მოიგო

აშშ-ში, ნიუ იორკელმა პენსიონერმა ლატარეაში ჯეკპოტი მოხსნა. მოგებული თანხა 476 მილიონი დოლარია, რაც ყველაზე დიდი მოგებაა ლატარეის ამოქმედებიდან. ქვინსში მცხოვრებმა, 71 წლის იღბლიანმა ჯონი ტეილორმა განაცხადა, რომ ბედნიერი ბილეთი ოზონ-პარკში მდებარე მაღაზიაში Liberty Beer and Convenience შეიძინა, სადაც სხვა დროსაც უყიდია ლატარეის ბილეთები. ტეილორმა უკვე გაანაღდა იღბლიანი ბილეთი და გადასახადების შემდეგ, საბოლოოდ, ერთდროულად 157 მილიონი დოლარი აიღო. პენსიონერის თქმით, ამ ფულით ის ახალი სახლის ყიდვას, მოგზაურობასა და ადგილობრივი ეკლესიის დახმარებას აპირებს. პირველ რიგში კი, ძველ მანქანას გამოცვლის. მაღაზია, რომელმაც პენსიონერს ბედნიერი ბილეთი მიჰყიდა, ბონუსის სახით, ასევე მიიღებს თანხას – 10 ათასი დოლარის ოდენობით.

ცხოველთა დამცველი საკუთარ კანს ჩანთისთვის გაიღებს

ცხოველთა დამცველი ამერიკული ორგანიზაცია PETA-ს ხელმძღვანელმა, ინგრიდ ნიუკირკმა თავისი ანდერძი განაახლა, რომელშიც ჩაწერა, რომ სურვილი აქვს, სიკვდილის შემდეგ, მისი კანი ერთ-ერთი ფრანგული ბრენდის ჩანთების წარმოებას მოხმარდეს. ამის შესახებ ინფორმაცია ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. როგორც თავად აქტივისტი აცხადებს, ამ ნაბიჯით სურს, საზოგადოების ყურადღება იმ ფაქტისკენ მიაპყროს, რომ არსებობენ სპეციალური ფერმები, სადაც ამ ფრანგული ბრენდის ჩანთების დასამზადებლად ცხოველებს ამრავლებენ და ხოცავენ. ინგრიდის ანდერძითვე, მისი გულის ნაწილები „ფორმულა-1"-ის ტრასების ქვეშ, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში უნდა დაიმარხოს – ასე ის იმ ზიანზე მიანიშნებს, რასაც ავტომობილების გამონაბოლქვი და საბურავები აყენებენ გარემოს. გულის მესამე ნაწილი, ნიუკირკის სურვილით, ილონ მასკს უნდა გადაეცეს. PETA-ში აცხადებენ, რომ მისმა კომპანია Neuralink-მა, უამრავი ცხოველი დახოცა ტვინში ჩიპის ჩანერგვის ექსპერიმენტების დროს. აღსანიშნავია, რომ ცხოველთა დამცელმა ანდერძი 2003 წელს დაწერა, თუმცა 20 წლის შემდეგ, მასში აქტუალური თემების დამატება გადაწყვიტა.

საუკეთესო ზეითუნის ზეთს აფრიკაში ამზადებენ

ესპანეთში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე – EVOOLEUM, Extra Virgin-ის 1 000-ზე მეტი ნიმუშის ბრმა დეგუსტაციის შემდეგ, ჟიურიმ საუკეთესოდ სამხრეთ აფრიკული ზეთი დაასახელა. პროდუქციას 26 ექსპერტი აფასებდა მსოფლიოს ათი ქვეყნიდან. ცივი დაწურვის ზეითუნის ზეთს სამხრეთ აფრიკული უდიდესი ბრენდი De Rustica Olive Estate Coratina აწარმოებს. პროდუქტმა კონკურსზე არა მხოლოდ მაღალი საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა, არამედ „აბსოლუტურად საუკეთესო ზეითუნის ზეთი 2023"-ის წოდებაც.

ლუდი წყალმცენარეებისგანაც მოხარშეს

მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი იტალიური რესტორნის Sud Di Quarto შეფ-მზარეულმა მარიანა ვიტალემ, ლუდის მწარმოებელ არმანდო რომიტოსთან ერთად, ზღვის წყალმცენარეების საფუძველზე, უნიკალური ალკოჰოლური სასმელი შექმნა. წყალმცენარეებს წინასწარ ფერმენტირებულ ლუდში ჟინთავენ და ორი წლის განმავლობაში, ფრანგული მუხის კასრებში აყოვნებენ. ჩამოსხმის შემდეგ, ბოთლებს კიდევ ოთხ თვეს მაინც აყოვნებენ ხელახალი ფერმენტაციისთვის. ლუდი Marialga-ს თითოეული ბოთლი დალუქულია და თავზე ადგილობრივი პლაჟიდან აღებული ნიჟარა აქვს დაწებებული. წყალმცენარეებისგან დამზადებული ერთი ბოთლი ლუდის ღირებულება 30 ევროა.

ბოსა-ნოვას ვარსკვლავი გარდაიცვალა

ცნობილი ბრაზილიელი ჯაზ-მომღერალი ასტრუდ ჟილბერტო, 83 წლის ასაკში, აშშ-ში, ფილადელფიაში გარდაიცვალა. მუსიკოსი ბრაზილიაში, ბრაზილიელი დედისა და გერმანელი მამის ოჯახში დაიბადა. მან პოპულარობა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მოიპოვა. მისი ყველაზე ცნობილი კომპოზიციაა „გოგონა იპანემადან“ (The Girl From Ipanema), რომლის 5 მილიონზე მეტი ჩანაწერი გაიყიდა. ჟილბერტომ უდიდესი წვლილი შეიტანა სამბასა და ბოსა-ნოვას პოპულარიზაციაში, არის „გრემის“ არაერთი ჯილდოს მფლობელი.

ჭაბურღილი – დედამიწის სტრუქტურის შესასწავლად

ჩინური საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ თაკლა-მაკანის უდაბნოში, ქვეყნის ჩრდილო დასავლეთით, 11 100 მეტრის სიღრმის ჭაბურღილს გათხრიან. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ეს დედამიწის სტრუქტურის უკეთ შესწავლაში დაეხმარებათ. ჭაბურღილმა უნდა გაიაროს 10 კონტინენტალური ფენა. დედამიწის ქერქი სიღრმით 30 კილომეტრს აღწევს, ამიტომ მანტიამდე ჩაღწევა ვერ მოხერხდება. დღესდღეობით, მსოფლიოში ყველაზე ღრმა ჭაბურღილი რუსეთში, კოლის ნახევარკუნძულზეა – მისი სირღმე 12 კილომეტრი და 262 მეტრია. ამ პროექტზე მუშაობა 1970 წელს დაიწყო და მხოლოდ 1994 წელს დასრულდა.

რვაფეხას მელანში კიბოს წამალი იპოვეს

მექსიკელმა სწავლულებმა ჩვეულებრივი რვაფეხების მელანში მოლეკულა აღმოაჩინეს, რომელიც სიმსივნეს ჯანმრთელი უჯრედების დაუზიანებლად ანადგურებს. მისი სინთეზირება ხელოვნურად მოახერხეს და „ოზოპრომიდი“ უწოდეს. ესაა აზოტის შემცველი, ორგანული ნაერთი, ექვსი და ხუთწევრიანი ციკლური ჯგუფების ჩათვლით. მისი ზემოქმედება გამოსცადეს კიბოს უჯრედების კულტურებზე სარძევე ჯირკვლის, პროსტატის, საკვერცხეებისა და ფილტვების სიმსივნის დროს. აღსანიშნავია, რომ ფილტვის კიბოს შემთხვევაში, შედეგი მაქსიმალური იყო. ახალმა მოლეკულამ შეამცირა კიბოს უჯრედების ზრდა და გამრავლება, რის გამოც ისინი მასობრივად კვდებოდნენ, მათი რიცხვი ორჯერ შემცირდა, ამასთან, „ოზოპრომიდმა“ ჯანმრთელი უჯრედები არ დააზიანა. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ამ ნაერთის საფუძველზე მოხერხდება კიბოს მკურნალობის უფრო „რბილი“ მეთოდების ჩამოყალიბება.

სკოლის საფასურს ნაგვით გადაიხდიან

ნიგერიაში, დედაქალაქ ლაგოსში პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც „ინიციატივა აფრიკის გასასუფთავებლად“ ჰქვია. აქტივისტები მოსწავლეების მშობლებისგან გადამუშავებად საგნებს იღებენ, მასში მიღებულ თანხას კი შვილების სკოლის საფასურში იხდიან. პროექტის ავტორებს ამგვარად სურთ, განათლება – ხელმისაწვდომი, ხოლო მეგაპოლისი – 13-მილიონიანი მოსახლით, შედარებით სუფთა გახადონ. მშობლები ქალაქში აგროვებენ ქილებს, პლასტმასის ბოთლებს, კონტეინერებს, მუყაოს ყუთებს. მათში გადახდილი ფული მასწავლებლების ხელფასს, მოსწავლეების ფორმებსა და სახელმძღვანელოებს, ასევე, საკანცელარიო ნივთებს ხმარდება. ლაგოსის ერთ-ერთ უღარიბეს რაიონში, ან ინიციატივის წყალობით, შვიდი ბავშვის ნაცვლად, უკვე 120 ბავშვი იღებს განათლებას.

ᲐᲛᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐᲜ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐ�გᲠᲐᲜᲢᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲜᲘ. ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ Bolsa Verde ᲣᲬᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ, 30 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲣᲗᲨᲘ, ᲐᲛᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲢᲝᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ. ᲐᲡᲔ ᲗᲣ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲨᲔᲣᲥᲪᲔᲕᲐᲓ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲐ „ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲢᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲡᲐᲪ – ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ ᲢᲧᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲐᲓᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲜᲐᲡᲐᲪ ᲩᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ. ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ 88%-Ს ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲡᲫᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲢᲧᲔᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜᲝ.

ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲗᲕᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲯᲝᲖᲔᲤ ᲓᲘᲢᲣᲠᲘᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ 93 ᲓᲦᲔ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲒᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ. ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ, ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲓᲐ. ᲛᲔᲓᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲐᲡᲐᲙᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲐᲗᲘ ᲖᲝᲛᲐ ᲘᲙᲚᲔᲑᲡ. ᲓᲘᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ – ᲛᲘᲡᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ 20%-ᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ, �წᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲨᲕᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ. Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲬᲜᲔᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲖᲔ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲐ ᲰᲘ�პᲔᲠᲑᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ.

თანამშრომლებს რობოტებით ჩაანაცვლებს

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ Amazon-ᲛᲐ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲣᲗᲐᲓ ᲠᲝᲑᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ „ᲭᲙᲕᲘᲐᲜ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ“ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲤᲣᲗᲐᲕᲔᲑᲐᲓ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲑᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲐᲐᲗᲨᲘ 4-5-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ. Amazon-Ი ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲘ ᲠᲝᲑᲝᲢᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ �გᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲠᲝᲑᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ – ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ, ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ-ᲠᲘᲗᲔᲘᲚᲔᲠᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲝᲠᲘ �წᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲝᲜ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲓᲐᲘᲗᲕᲐᲚᲔᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ �მᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ, 24 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ.

იოგა ალპაკებთან ერთად

ᲠᲐᲦᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ �წᲧᲐᲠᲝ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲐ. ᲘᲝ�გᲐᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ, ᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲛᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲨᲘᲪ ᲙᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲝᲪᲔᲑᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲔᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲝ�გᲐᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲚᲞᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲨᲘ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ. ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲕᲘᲚᲘᲰᲨᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲔᲙᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲐᲚᲞᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲗ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ 20 ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲐ. ᲘᲝᲗᲐᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲑᲘᲚ ᲐᲛᲘᲜᲓᲨᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

წესების დამრღვევებს მართლწერით სჯიან

ჩინეთის ქალაქ ლინფენში, საგზაო პოლიციის ერთ-ერთმა ოფიცერმა წესების დამრღვევებისთვის სასჯელის ახალი მეთოდი შემოიღო. მან ეს მეთოდი სკოლის მასწავლებლების არსენალიდან გადმოიღო. ფეხით მოსიარულეებსა და ველოსიპედისტებს, რომლებიც გზებზე, წითელ შუქზე გადადიან, პოლიციელი აიძულებს, სპეციალურად საამისოდ შემოღებულ რვეულში, ერთი გვერდი შეავსოს ფრაზით: „წითელი შუქი – დგახარ, მწვანე შუქი – წადი“. მოძრაობის წესების დამრღვევი მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ აგრძელებს გზას. როგორც ნოვატორი წესრიგის დამცველი აცხადებს, ის საკმაოდ კმაყოფილია ეფექტით, რასაც მისი მეთოდი ახდენს წესრიგის დამრღვევებზე. განმეორებითი დარღვევა პრაქტიკულად არ არის, – აცხადებს პოლიციელი. რაც შეეხება სასჯელს, ამ ფორმას წარმატებით იყენებენ სასწავლო დაწესებულებებში. ცნობილი ფაქტია, რომ ერთ-ერთი უმღლესი სასწავლებლის პედაგოგი სტუდენტებს, რომლებიც აგვიანებდნენ, ყველაზე რთული ჩინური იეროგლიფის ათასჯერ დაწერას ავალდებულებდა.

მუზეუმი ტურისტებს სოლიტერებით იზიდავს

ეს მუზეუმი სუსტი ნერვების მქონეთათვის არ არის. უკვე 65 წელზე მეტია, ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში არსებობს ადგილი, სადაც შეგიძლიათ, პარაზიტების სამყაროს გაეცნოთ. ის 1953 წელს გაიხსნა და მსოფლიოში პირველი იყო. იმ დროს იაპონიაში ყველას ჰყავდა პარაზიტები, დღეს – ძალიან ცოტას. ადამიანებს ისინი საკმაოდ საინტერესოდ მიაჩნიათ და მათ სანახავად სიამოვნებით მოდიან აქ, – აცხადებს მუზეუმის დირექტორი. სოციალური ქსელების მეშვეობით, დაწესებულება უცხოელებშიც საკმაოდ პოპულარული გახდა და მუზეუმი არც ტურისტების ნაკლებობას უჩივის.

პარაზიტებს შორის, ყველაზე დასამახსოვრებელია სოლიტერია, რომლის სიგრძეც თითქმის 8 მეტრს აღწევს. მუზეუმში ამ არსებებისა და მათი სახეობების შესახებ ბევრ რამეს გაიგებთ. ექსპოზიციაში მსოფლიოს მკვლევარების კერძო კოლექციებიდანაც არის წარმოდგენილი ექსპონატები. სამახსოვროდ რამის წაღებას თუ მოისურვებთ, სუვენირების დახლზე ყველაზე პოპულარულია მაისური – სოლიტერით. მისი ფასი 30 დოლარია. აღსანიშნავია, რომ მუზეუმში შესვლა უფასოა, თუმცა შემოწირულობის ყუთი დგას და თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ, სასურველი თანხა შესწიროთ.

სიჩქარის გადაჭარბებისთვის მტრედი დააჯარიმეს

გერმანიაში, ქალაქ ბოხოლტის ხელისუფლებამ, გადაადგილებისას წესების დარღვევისთვის, 25 ევროთი... მტრედი დააჯარიმა. საგზაო კამერამ „ბუმბულებიანი ტრანსპორტი“ სიჩქარის გადაჭარბებისას დააფიქსირა. მტრედმა ქალაქის ქუჩაში 45 კმ/სთ სიჩქარით გაიფრინა, გერმანული კანონებით კი, ამ საცხოვრებელ რაიონში, მხოლოდ 30კმ/სთ-მდე სიჩქარით მოძრაობაა დაშვებული. აღმოჩნდა, რომ ეს „დარღვევა“ ჯერ კიდევ თებერვალში დაფიქსირდა, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი დრო დასჭირდა ფოტოს შესაფასებლად. „კანონდამრღვევს“ 25-ევროიანი ჯარიმა გამოუწერეს.

მჯდომარე მუშაობის „სასიკვდილო დოზა“ დაადგინეს

ბრაზილიელი მკვლევარების მოსაზრებით, ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა, კერძოდ, მუშაობის დროს, ასევე, მისგან გამომდინარე ნაკლები მოძრაობა სიცოცხლის „დამოკლების“ სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს. როგორც სწავლულებმა დაასკვნეს, ზოგჯერ, სწორედ ეს ფაქტი იწვევს ადამიანების სიკვდილს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ლეტალური შედეგების 4%, სწორედ გადაჭარბებული მჯდომარე სამუშაოსა და ასეთი ცხოვრების წესის „დამსახურებაა“. ბრაზილიელებმა სკამზე ჯდომის „სასიკვდილო ლიმიტის“ განსაზღვრაც შეძლეს, რომლის გადაჭარბებაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. პირიქით, დროის შემცირება კი სიცოცხლის გახანგრძლივებას უწყობს ხელს. ციფრების ენით რომ ვთქვათ, ადამიანს შეუძლია, სიცოცხლე 0.2 წლით გაიგრძელოს, თუ ის მჯდომარე პოზაში ყოფნას დღეში სამ საათამდე შეამცირებს. სწავლულები ასეთ დასკვნამდე ბოლო 15 წლის სიკვდილიანობის სტატისტიკის შესწავლით მივიდნენ, რომლის დროსაც, მათ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები გამოიყენეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.